# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 27 აპრილი 2006 №93 (2715) ფასი 50 თეთრი





# კამპ NO მილანს

## ბარსელონამ ფინალში მშრალად შეცურა

# დიდი ფეხბურთის მარცვალი

## საქართველომ შესარჩევი ჯგუფი განმალტა



**ტატიანა ნავკას აკრძალვები არ უყვარს**

ქართულ ღვინოსაც დალევს და თამამად გაიხდის 14




ოთარ მარცვალაძემ მალტელებს თავბრუ დაახვია

# შოუ იწყება

## მინგეს ხუმრობა, ტოპის ღრიალი, წითელი კვერცხი და... გა-ვე-დით!



ზესტაფონი. 26 აპრილი. 13 საათი. ცენტრალური. 6 000 (ტევადობა 10 000)

**საქართველო 2:1 მალტა**

1:0 ხუბუტია (42), 2:0 ჭელიძე (63პ), 2:1 ფალზონი (83)

**საქართველო:** რევიშვილი, სეთურიძე, ღვინიანიძე, ხუბუტია, გ. ფოფხაძე (ნავალოვსკი 64), კანკავა, განუგრავა, ფიფია, გ. ჭელიძე, მარცვალაძე (გეწაძე 73), გელაშვილი (გ. მერებაშვილი 69)
*სათადარიგონი:* ლორია; ბჟალავა, მ. ლომიძე, ბენაშვილი
**მწვრთნელი:** რალფ მინგე

**მალტა:** ჰოგი, მუსკატი, ფაილა (გერა 88), ა. აგიუსი, მიფსუდი, კაროანა (ე. აგიუსი 64), კამენზული, ფენეში, ზამიტი (ბარტოლო 84), ფრენდო, ფალზონი
*სათადარიგონი:* პარიზი, ველა, ფენეში, ბეზინა
**მწვრთნელი:** მარკ მილერი

**გაფრთხილება:** ა. აგიუსი (13), ფოფხაძე (34), კამენზული (41), მიფსუდი (44), მუსკატი (76)

**გაძევება:** მიფსუდი (45), ღვინიანიძე (45)

**მსაჯი:** ვ. ბანარი (მოლდოვა)

**გიორგი ნოზაძე ზესტაფონიდან**

**პირველმა** ოფიციალურმა საშინაო შეხვედრამ პირველი შედეგი მოიტანა — საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა და ევროპის ჩემპიონატისკენ სავალ გზას სერბეთთან და ლიტვასთან ჭიდილით გააგრძელებს.

ორი კვირის წინ მალტის „ტა ქალიზე“ მოპოვებული 2:1 ორმატჩიან დუელში მალტელებთან თითქმის გამარჯვებას უდრიდა, თუმცა მალტისა და ზესტაფონის ერთად გახსენება უსიამოვნო მოგონებებს აღუძრავდა ფეხბურთის ქომაგს. ნებისმიერ უპირატესობას კი საბოლოო ჯამში რეალურ შედეგად გარდასახვა სჭირდება.

ზესტაფონის „ცენტრალურზე“ გუშინ მხოლოდ ცენტრალური ტრიბუნა შეივსო და ეს არც იყო გასაკვირი. აპრილის ბოლოსთვის მეტისმეტად უამური ამინდი ჯერ კიდევ რიკოთზე შეგვეგება და გვირაბიდან გასულებს თოვლით გადათეთრებული იმერეთი დაგვხვდა. ზესტაფონში არ თოვდა, წვიმდა და მატჩის დაწყებამდე წვიმამაც გადაიღო, თუმცა ტრიბუნების ბოლომდე შესავსებად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. შეხვედრის სანახავად თბილისიდან მთელმა საფეხბურთო ბომონდმა ზესტაფონს მიაშურა. ფეხბურთის ფედერაციის დიდმოხელეთა გარდა ტრიბუნაზე თბილისის „დინამოს“ თავკაცი ანდრეი ჩერნიშოვი და ქუთაისის „ტორპედოს“ სამწვრთნელო შტაბის ხელმძღვანელი რევაზ ძოძუაშვილიც იყვნენ. მასპინძლებს ყველაფერი ეღონათ მატჩის მაღალ დონეზე სამასპინძლოდ, თუმცა მეტისმეტად უხვმა ნალექმა მაინც დაამძიმა გრუნტი და თამაშს კვალი დააჩნია.

რალფ მინგემ მოსალოდნელი 4-3-3 შემოგვთავაზა, თუმცა რეალურად სქემა უფრო 4-2-4 იყო. დაცვაში მარჯვნიდან მარცხნივ გიორგი სეთურიძე, მათე ღვინიანიძე, აკაკი ხუბუტია და გიორგი ფოფხაძე იდგნენ. ორი საყრდენი ნახევარმცველის როლი გუნდის კაპიტანმა ჯაბა კანკავამ და გიორგი განუგრავამ ითავეს. მათ წინ გოგი ფიფია მოქმედებდა, შეტევაში კი საქართველოს ნაკრებს ცენტრფორვარდი ნიკოლოზ გელაშვილი და გარემარბები — გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე და ოთარ მარცვალაძე ჰყავდა. რეალურად კი გოგი ფიფია მეოთხე თავდამსხმელი უფრო იყო და მოგვეჩვენა, თითქოს პირველ ტაიმში რეალურად ვერ მიაგნო საკუთარ ფუნქციას მოედანზე.

სველ ბალახზე უფრო ეფექტური დაბალი მოკლე გადაცემებით თამაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადგან მინგეს შეგირდებს სწრაფი ფლანგური გარღვევები წაუვიდათ, ტაიმის ბოლომდე „პირველ ჩვენებას მიაწვნენ“.

ანგარიშის გახსნა უკვე მე-7 წუთზე შეიძლებოდა, როცა ჭელიძის გადაცემა მცველებს აეჭრათ, მარცვალაძემ კი კარში დარტყმას გელაშვილისთვის გადაწოდება ამჯობინა.

მე-15 წუთზე იმავ „პაჭელომ“ საჯარიმოში გელაშვილი მონახა და პირისპირაც ტოვებდა მეკარესთან, მაგრამ მალტელმა მცველებმა ბოლოწამს ივარგეს. ოთხი წუთიც და, ისევ ჭელიძე-გელაშვილის კომბინაცია და „ვიტ ჯორჯიას“ ფორვარდი შორეულ კუთხეში არაზუსტად ურტყამს, არადა, ოდნავ მარცხნივ მარცვალაძე სრულიად უმეთვალყურეოდ იდგა.

მალტელთა კართან სახიფათო მომენტებს თვლა არ ჰქონდა და მხოლოდ რამდენიმეს გამოვარჩევთ. 36-ე წუთზე ხუბუტია-ფიფია-მარცვალაძის კომბინაცია იმით დასრულდა, რომ ოთარმა მეკარეს ბურთის ფეხებშუა გაძვრენა დაუპირა, მაგრამ ენდრიუ ჰოგმა ჩაწოლა მოასწრო. მალევე ჭელიძემ თამაშგარეს შექმნის მცდელობისას გამოიჭირა დაცვა, თავადვე შეიგდო ბურთი და რომ არა კარიდან ასე 30 მეტრში გამოსული ჰოგი...

გოლი კარგა ხანს მწიფდებოდა და, როგორც იქნა, გავიდა: 42-ე წუთზე ფიფიამ ჯარიმიდან ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა. კანკავას თავურის შემდეგ ტრიბუნები გოლის აღსანიშნავად წამოიშალა, მაგრამ მეკარემ სასწაულებრივი რეაქცია გამოავლინა. ბურთი იქვე დავარდა და თითქმის ხაზიდან კარში მის შეტანას ერთბაშად ხუთი ქართველი ცდილობდა. ყველაზე სწრაფად სიტუაციას ალღო ხუბუტიამ აუღო და — 1:0.

პირველი ნახევარი ასეც უნდა დასრულებულიყო, რომ არა ჯოზეფ მიფსუდი. უეფას მაღალჩინოსნის მოგვარე და სეხნია მეტისმეტად ეუხეშა ფიფიას, რასაც ჯგუფური გაწევ-გამოწევა მოჰყვა. არბიტრ ვიაჩესლავ ბანარს გუნდების დაშოშმინებაში თანამსაჯებიც აქტიურად დაეხმარნენ, საბოლოო ჯამში კი მოლდოველმა არბიტრმა მიფსუდი და ღვინიანიძე გასახდელის გზას გაუყენა. ამ დროს იყო, ტრიბუნიდან მოედანზე ჯერ მზესუმზირით სანახევროდ სავსე პარკი, შემდეგ კი სააღდგომო წითელი კვერცხი რომ ისროლეს.

პირველი ნახევრის მიხედვით, საპრეტენზიო არც არაფერი გვქონდა. გამართულად თამაშობდა დაცვა — ხუბუტია და ღვინიანიძე თავდაჯერებით და მარტივად ახშობდნენ მეტოქეთა შეტევებს, ბურთი ზედმეტი წვალების გარეშე ამოჰქონდათ ცენტრამდე. აქტიურობდნენ ფლანგელი მცველებიც, თუმცა მემარცხენე ფოფხაძე შეტევას გაცილებით მეტ დროს უთმობდა, ვიდრე სეთურიძე. ნახევარდაცვაში სრულიად სხვა კანკავა ვიხილეთ: ისევ მეომარი, ისევ ჟინიანი, თუმცა ერთბაშად დალვინებული და ერთიორად ეფექტური. გარკვეული როლი ამაში ალბათ კაპიტნის სამკლავურმაც ითამაშა, თუმცა ჯაბას ან სხვა დროს როდის დაუზოგავს თავი...

კარგი იყო განუგრავა თავისი საშუალო და გრძელი გადაცემებით, მორიგეობით რომ გაჰყავდა გარღვევაზე თავდასხმის ოთხეული. თავდასხმაში კი... ოდნავ მეტად შეთამაშებულნი რომ ყოფილიყვნენ, ჩვენს ფორვარდებს პირველ ტაიმშივე ხუთი გოლი მაინც უნდა გაეტანათ...

ცალკე თემაა ოთარ მარცვალაძე: მეურვეები ხომ გატანჯა და საწყისი ოცი წუთის შემდეგ ტრიბუნები ნებისმიერი ქართველი ფეხბურთელისგან ბურთის მარცვალაძისთვის გადაწოდებას ითხოვდა. როგორც ჩანს, ქართულ ფეხბურთში „ოთარ-შოუ“ იწყება...

მეორე ტაიმში რალფ მინგემ გუნდი გადააწყო. გაძევებული ღვინიანიძის ადგილი განუგრავამ დაიკავა, ფიფია ნახევარდაცვაში კანკავას შეუწყვილდა და გაცილებით ეფექტურადაც ათამაშდა. მარცვალაძემ კი მთლად აიწყვიტა და ერთბაშად რამდენიმე მინი-სპექტაკლი დადგა.

53-ე წუთი: მარცვალაძემ მარცხენა ფლანგზე მიიღო ბურთი, რამდენიმე მალტელი სლალომით გაიარა და დაარტყა — მეკარემ მოიგერია.

55-ე წუთი: ორი მცველის მოტყუების შემდეგ ოთარი „ა ლა მარადონა“ დატრიალდა ბურთზე და საჯარიმოს წინა ხაზიდან დაარტყა. ენდრიუ ჰოგმა გოლ-შედევრს გასვლა არ დაანება და დაბალი კუთხიდან მკვდარი ბურთი „გამოაძრო“.

62-ე წუთი: მარცვალაძემ ერთბაშად ხუთი მეტოქე გააბრუა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და... ჰოგმა მოცელა — პენალტი გოლად გიორგი ჭელიძემ აქცია...

2:0-ის შემდეგ თამაშმა აზრი დაკარგა, გუნდებს დაღლაც დაეტყოთ და სანახაობაც გაქრა. ერთადერთი ეგ იყო, მალტელებმა ქართველთა დაცვის ორი ჩავარდნიდან ერთი გოლი გამოადნეს და ანგარიშს „საპატიო“ სახე მისცეს...

და, რა თქმა უნდა, კლაუს ტოპმიოლერი: საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი სათადარიგოთა სკამიდან რალფ მინგესთან ერთად ხელმძღვანელობდა გუნდს, რამდენჯერმე კი, როცა ჩვენს ფეხბურთელებს ეუხეშნენ, ვიაჩესლავ ბანარს ისეთი უღრიალა, რომ...

*რალფ მინგე:* მადლობას ვუხდი ზესტაფონელებს გულითადი მასპინძლობისა და ერთგული ქომაგობისთვის. თითოეულმა ფეხბურთელმა შესაძლებლობის მაქსიმუმი გაიღო, თუმცა პირველ ნახევარში კომბინაციური თამაშის ხარისხი აშკარად არ ეტოლებოდა ჩვენს პოტენციალს. გუნდი ცოტას ნერვიულობდა და სწრაფი გოლი რომ გაგვეტანა, სხვა თამაში წავიდოდა. რაც ამ მატჩს ენერგია დავახარჯეთ, შედეგს არ შეესაბამება. მატჩის ბედს წვრილმანები წყვეტს და ეს გუშინდელმა „ვილიარეალი“ — „არსენალის“ მატჩმაც დაადასტურა. შეცდომების რაოდენობა მაქსიმალურად უნდა შევამციროთ.

...კანკავას დიდი პოტენციალის გარდა ლიდერისთვის საჭირო თვისებებიც გააჩნია და კაპიტნობა ამიტომაც ვანდეთ. განუგრავა დღეს შედარებით უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე მალტაში. მას მეტისმეტად მძიმე ფაზა აქვს, დეკემბრის შემდეგ სათამაშო რეჟიმშია, შაბათს საჩემპიონატო მატჩი ელის, მაისში კი 19-წლამდელებთან ერთად სლოვაკეთში მიემგზავრება. ფიფია დღეს ისეთივე მკვეთრი და მიზანდასახული ვერ იყო, როგორც მალტაზე, თუმცა მაინც ძალიან სასარგებლოდ მოქმედებდა.

...მარცვალაძე? ალბათ თქვენც დამეთანხმებით, რომ მარცვალაძე ფეხბურთის გაგებაში არ არის...



გიორგი ჭელიძე (№11) გოლითაც გამოირჩა და თავიც არ დაუზოგავს



ამ გაწევ-გამოწევის მერე გუნდები კაცნაკლულნი დარჩნენ



# ლოკომოტივი გეგუჩაძეს უხმობს

**მეჩვიდმეტე** ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე თბილისის „ლოკომოტივმა“ მესამე ადგილით ჩაამთავრა, მაგრამ მერე გუნდი, ფაქტობრივად, დაიშალა — „ლოკომოტივი“ თითქმის ყველა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა და გუნდიდან მთავარი მწვრთნელი ნოდარ აკობიაც წავიდა.

მეორე წრეში კი „ლოკომოტივს“ ჯერ თამაში არ მოუგია და მე-8 ადგილზეა, თუმც შევიტყვეთ, რომ კლუბის ხელმძღვანელობას მომავალი სეზონიდან სერიოზულ გეგმები აქვს — „ლოკომოტივი“ საკუთარი ბაზის აშენებასაც კი აპირებს.

მაგრამ გუნდის აღორძინებას სხვა რამეც სჭირდება და კულუარებიდან უტყუარი ამბავიც გავიგეთ — კლუბის ხელმძღვანელობას სურს, რომ გუნდი თბილისის „დინამოს“ ყოფილ მწვრთნელ გია გეგუჩაძეს ჩააბაროს. როგორც შევიტყვეთ, მხარეებს შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებულია.

**ნიკა ჯორჯაძე**



# იმედაშვილი და ვიტ ჯორჯია გადარჩნენ

**გეცოდინებათ,** „ვიტ ჯორჯიას“ ლიდერი დავით იმედაშვილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გუშინწინდელ ვარჯიშზე დაშავდა და მალტელ თანატოლებთან ამიტომაც ვერ ითამაშა.

იმედაშვილის გამოკლება ასეთ საკვანძო მომენტში დიდი დარტყმა იქნებოდა ვიტელებისთვის, რადგან მეორე წრეში მან თასიან-ჩემპიონატიანად 9 გოლი შეაგდო და ჩამშლელი ტიპის ნახევარმცველი გუნდის მთავარმეგოლედ იქცა.

„ვიტ ჯორჯიასთვის“ საბედნიეროდ, იმედაშვილს გუშინ გამოკვლევა ჩაუტარეს და ტრავმა საშიში არ აღმოჩნდა — იგი უახლოეს ტურშივე, თბილისის „ლოკომოტივთან“ ითამაშებს.

**ლუკა თალაკვაძე**

# მელქაძეს პატარა ვოლერენგაში გააქვს

ლევან მელქაძეს ჯერ „ვოლერენგას“ ძირითად შემადგენლობაში ფეხი არ მოუკიდებია — რაც უნდა იყოს, ეს კლუბი ნორვეგიის ჩემპიონია, ნაკრების ფეხბურთელებიც ჰყავს და ახალწვეულისთვის ალბათ ჯერ დროა საჭირო.

სამაგიეროდ, მელქაძემ „ვოლერენგა 2“-ის შემადგენლობაში „სარპსბორგთან“ სტუმრად სრულად ითამაშა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს. მელქაძის გუნდმა 2:0 მოიგო და მეორე გოლი სწორედ ჩვენიანმა გაიტანა 31-ე წუთზე.

**ლუკა თალაკვაძე**






# რუმენიგე! და იუპ დერვალის ნაქები ქართველები

21 ნოემბერი. 1979 წელი

თბილისი. დინამოს სტადიონი

**სსრკ 1:3 გფრ**

**სსრკ:** გაბელია, როდინი, მირზოიანი, სამოხინი, მახოვიკოვი, ხიდიატულინი (შავლო 68), დარასელია, გუცაევი, ოგანესიანი, გავრილოვი, ანდრეევი

**გფრ:** ნიგბური, კალცი (ვოტავა 74), კულმანი, კ-ჰ. ფიორსტერი, დიტცი (ციმერმანი 74), ბრიგელი, შუსტერი (ბ. ფიორსტერი 46), ჰ. მიულერი, ფიშერი, ნიკელი, რუმენიგე

0:1, 0:2 რუმენიგე (34, 62), 0:3 ფიშერი (66), 1:3 მახოვიკოვი (83)

**მსაჯი:** მ. ჰირვინიენი (ფინეთი)



**საქართველოს** ეროვნული ნაკრები 7 ოქტომბერს გერმანიას ამხანაგურად გაეჯიბრება როსტოკში. ჩვენს უპირველეს გუნდს ნაციონალმანშაფტთან ადრეც უთამაშია — ევრო 96-ის შესარჩევში, მაგრამ ამხანაგური მატჩი ქართველმა ფეხბურთელებმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან პირველად 1979 წელს ითამაშეს თბილისში — მაშინ საბჭოთა კავშირის ნაკრები იყო ბუნდესნაკრების მასპინძელი...

დასავლეთგერმანელებთან ამხანაგური მატჩისთვის საბჭოთა ნაკრები უკვე ჩაფლავებული იყო ევროპის 1980 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კონსტანტინ ბესკოვმა გადახალისებული შემადგენლობა გამოიყვანა. საბჭოთა გუნდისთვის ეს იყო მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადისთვის მზადების ეტაპი. ალბათ ყველაფერ ამის გამო ბესკოვმა არ გამოიძახა ალექსანდრე ჩივაძე და დავით ყიფიანი, ხოლო რამაზ შენგელია ტრავმირებული იყო.

თაობათა ცვლა მიდიოდა ბუნდესნაკრებშიც, რომელსაც 1978 წელს არგენტინაში გამართულ მუნდიალზე ხელი მოეცარა — ლეგენდარულმა მწვრთნელმა ჰელმუტ შიონმაც საყვარელი კუბოკრული ქუდი კაცურად დაიხურა და გადადგა, მისი შემცვლელი კი იუპ დერვალი გახდა.

საბჭოთა ნაკრებთან მატჩამდე დერვალის ხელმძღვანელობით დასავლეთგერმანელებმა ათი წაუგებელი მატჩი გამართეს. გუნდში გამოჩნდნენ ახალი ფეხბურთელები, გერმანული ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავები: კარლ-ჰაინც ფიორსტერი, ბერნდ შუსტერი და ჰანსი მიულერი. თბილისური მატჩისთვის კარლ-ჰაინც ფიორსტერი 21 წლის იყო, ხოლო შუსტერი 19-ის.

ერთი საინტერესო დეტალიც: სწორედ ამ შეხვედრაში ჰქონდა სანაკრებო დებიუტი „კაიზერსლაუტერნის“ მცველ ჰანს-პეტერ ბრიგელს — ალბანეთის ნაკრების ახლანდელი თავკაცი მაშინ 24 წლის იყო.

თბილისში იმ წელიწადს უკვე ნათამაშევი ჰქონდა მანფრედ კალცს, როცა „ჰამბურგთან“ ერთად ჩემპიონთა თასის მერვედფინალიდან ჩვენი „დინამო“ გამოთიშა. კალცმა აქტიურად დაიწყო თავისი მეორე თბილისური მატჩიც, მარჯვენა მცველის პოზიციაზე ის მაშინ საუკეთესოდ ითვლებოდა ევროპაში, მთავარი კაცი კი იმდროინდელ ბუნდესნაკრებში მიუნხენის „ბაიერნის“ შემტევი კარლ-ჰაინც რუმენიგე გახლდათ.

თქმა არ უნდა, თბილისელი გულშემატკივარი დიდი ინტერესით შეხვდა ამ მატჩს, სტადიონი თითქმის გაივსო. მაშინდელ ბუნდესნაკრებში 1974 წლის ლეგენდარული გუნდიდან მხოლოდ რაინერ ბონჰოფი თამაშობდა, სწორედ მისი პასით გაიტანა გადამწყვეტი გოლი 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გერდ მიულერმა. დერვალმა ბონჰოფი თბილისური მატჩისთვის კი გამოიძახა, მაგრამ „ვალენსიამ“ ეს ნახევარმცველი საამხანაგოდ არ გამოუშვა. ვალენსიელებს არც მადრიდის „რეალი“ ჩამორჩა და ლიბერო ული შტილეკეს თბილისში წასვლის ნება არ დართო.



გერმანელთა ლეგენდარული მწვრთნელი იუპ დერვალი

1974 წლის ოქროს ნაკრებიდან თბილისში ერთი ფეხბურთელი მაინც ჩამოვიდა — ბერტი ფოგტსი, მაგრამ ის უკვე გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო. გერმანელებმა და საბჭოთა ახალგაზრდებმა წინა დღით ითამაშეს გორში, მაგრამ ამ მატჩის სტატისტიკურ მონაცემებსაც კი ვერ მივაკვლიეთ მაშინდელ ქართულ თუ ცენტრალურ საბჭოთა პრესაში.

...თბილისური მატჩი კალცის ფლანგური შეტევებით დაიწყო, მის ჩაწოდებულს რუმენიგემ დაჰკრა თავური, მაგრამ ოდნავ ააცილა ოთარ გაბელიას კარს. ამის შემყურე ბესკოვმა მითითებები მისცა თავის ფეხბურთელებს და საბჭოელებმა კალცის ამოკეტვა მოახერხეს, მაგრამ ინიციატივა უკვე რუმენიგემ აიღო საკუთარ თავზე, ხან მარჯვნიდან უტევდა, ხან მარცხნიდან, თავდასხმის ცენტრში კი კლაუს ფიშერი გამაგრდა. რუმენიგემ განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგი ამოიჩემა და ორივე გოლი იქიდან გაიტანა, საგოლე პასიც მარჯვნიდან უბოძა ფიშერს.

საბჭოთა ნაკრებმა მეორე ტაიმი პირველზე შედარებით უკეთ ითამაშა, გუცაევმა რამდენჯერმე გაიბრწყინა ფინტებით, დარასელიამ კი გერმანელთა კარის ძელს გაარტყა ბურთი — სხვა სახიფათო მომენტი საპასუხო გოლამდე საბჭოთა ნაკრებს არც შეუქმნია.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე დერვალმა ოთხი საბჭოთა ფეხბურთელი შეაქო: ვაგიზ ხიდიატულინი, ხორენ ოგანესიანი, დარასელია და გუცაევი.

რაც შეეხება რუმენიგეს, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად „ფრანს ფუტბოლის“ ტრადიციულ გამოკითხვაში იმ წელიწადს ის მეორე ადგილზე გავიდა, „ოქროს ბურთი“ კი „ჰამბურგის“ ინგლისელ კევინ კიგანს ერგო, რომელმაც რუმენიგემდე დაახლოებით ერთი თვით ადრე ითამაშა თბილისში. აი, ასეთი ხალხი ჩამოდიოდა მაშინ ჩვენთან...

**დავით თავართქილაძე**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

## სმიტმა ახლებს უხმო

**ევრო 2008-ის** შესარჩევ ეტაპზე ჩვენი მეტოქე შოტლანდია მაისში იაპონიაში რომ მიემგზავრება „კირინის თასზე“ სათამაშოდ, ადრეც გაუწყეთ. ახალი კი ისაა, რომ ამ ტურნირისთვის შოტლანდიელთა თავკაცმა უოლტერ სმიტმა ნაკრებში ოთხ დებიუტანტს უხმო: „მოზერუელის“ მეკარე გრემ სმიტი, „სელტიკის“ მცველი სტეფან მაკმანუსი და ორი რეინჯერსელი — კრის ბარკი და კრის ბოიდი.

სმიტი იაპონიაში ვერ წაიყვანს ნაკრების რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს — გუნდის რეინჯერსელი კაპიტანი ბარი ფერგიუსონი და „მანჩესტერის“ ნახევარმცველი დარენ ფლეტჩერი ტრავმირებულნი არიან, ხოლო „ვესტ ჰემის“ კრისტიან დეილის ინგლისის თასის ფინალი აქვს სათამაშო.

„კარინის თასზე“ სქოთები იაპონელებს და ბულგარელებს გაეჯიბრებიან.

**ნიკა ჯორჯაძე**

## უკრაინა გერმანიამდე ოთხს მოასწრებს

**ამხანაგური** მატჩების განრიგი დაადგინა უკრაინის ნაკრებმა — ევრო 2008-ის შესარჩევში ქართველთა მეტოქე კარსმომდგარი მუნდიალის მონაწილეა და იქამდე ოთხ ამხანაგურ მატჩს გამართავს.

ოლეგ ბლოხინის გუნდი 28 მაისს კოსტა რიკას გაეჯიბრება კიევში, 2 ივნისს იტალიას შეხვდება, 5 ივნისს ლიხტენშტაინს და 8 ივნისს კი ლუქსემბურგს — ასეთია უკრაინელთა სამუნდიალო მზადების გეგმა.

**ლუკა თალაკვაძე**

## იგრძენით განსხვავება, ანუ ცოცხები ჩქარა



**ჩვენ,** რა თქმა უნდა, ვაფასებთ მკითხველის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, ამიტომაც არ გთხოვთ, იპოვოთ ამდენი და ამდენი განსხვავება ამ ფოტოებს შორის — ეს პირველკლასელის ამოცანაა. თუმცა ამ ფოტოებს შორის განსხვავება რომ არის, ფაქტია. იმასაც იოლად მიხვდებით, რა სახის განსხვავებას ვგულისხმობთ და საით ვუმიზნებთ.

დაასახელეთ ქვეყანა, სადაც აზრად მოსდით დამლაგებელს სათამაშო მოედანი დაახვეტინონ. არა გვგონია, საქართველოს გარდა ასეთი რამ სხვაგანაც ხდებოდეს. ან დაასახელეთ ქვეყანა, სადაც მოედნის დასახაზად სპეციალური აპარატის ნაცვლად მამაპაპურ ჯოხზე გამობმულ ტილოს იყენებდნენ. პასუხი აქაც იგივეა.

რაღა დავამატოთ? ის, რომ ცოცხ-აქანდაზიანი ქალბატონი ბათუმელია, ხოლო მამაკაცი, რომელიც დახაზვის მამაპაპურ წესებს არ იცნობს, შვეიცარიული ბაზელის მკვიდრია.







# მუსლინმა ასათიანი ინატრა
## დაცვაზე მერე ვილაპარაკოთ

მალხაზ ასათიანი მოედანს რომ დაუბრუნდა, ორიოდ დღის წინაც გაუწყეთ. ტრავმამოშუშებულმა ქართველმა ლეგიონერმა მოსკოვის „ლოკომოტივის“ სარეზერვო გუნდში 45 წუთი ითამაშა და ორთვიანი პაუზა დაასრულა.

ასათიანი უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და გამორიცხული არაა, მომავალ ტურში ძირითად გუნდშიც გამოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, რკინიგზელთა სერბ თავკაც სლავოლიუბ მუსლინს ერთი სული აქვს, როდის დაბრუნდება მალხაზი...

„დაცვაში უამრავი პრობლემა გვაქვს, რასაც ვერა და ვერ დავაღწიეთ თავი. იმედია, ასათიანი მალე დაგვიბრუნდება და მაშინ უფრო შემეძლება დაცვის თამაშის შეფასება. ასათიანი უკვე ვარჯიშობს და ალბათ ძალიან მალე დაგვეხმარება“ — განაცხადა მუსლინმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი „ლოკომოტივის“ ესპანური შეკრებისას მძიმედ დაშავდა — ლავიწის ძვალი გაიტეხა და სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა...

**ბაჩა შალამბერიძე**

# არველაძე მეექვსედ გაჭრეს



არჩილ არველაძემ ფეხბურთელის კარიერა ოთხი წლის წინ დაასრულა — მან პირველი ოპერაცია ფეხზე მაშინ გაიკეთა, 16 წლის რომ იყო, მეხუთე კი მაშინ, როცა „კიოლნში“ თამაშობდა — აჩიკოს გერმანელებმა მუხლის ხრტილი გადაუნერგეს, მაგრამ ასეთი მუხლით ტყუპისცალმა თამაში ველარ შეძლო.

ხრტილგადანერგილი მუხლი აჩიკოს ბოლო დროს ისე აწუხებდა, რომ გუშინ მან მეშვიდე ოპერაცია გაიკეთა — კიოლნში არველაძეს მუხლი ერთხელაც გაუჭრეს და სახსრიდან დაფშვნილი ნამცეცა ძვლები ამოაცალეს.

**ნიკა ჟორჟაძე**

# ლოკომოტივის ფილტრაცია
## სოსო სირაძე: დუბლების ჩემპიონატი ჩვენი გადარჩენაა



**თბილისის** „ლოკომოტივი“ მეორე წრეში რაღაცნაირად უინტერესო გუნდად იქცა — რა თქმა უნდა, ეს ახალგაზრდა ბიჭებს არ ეხებათ. უბრალოდ, სატურნირო თვალსაზრისით რკინიგზელებს მოტივაცია კარგა ხნის წინ ჩაუკვდათ. „ლოკომოტივმა“ მესამე ადგილზე დაასრულა პირველი წრე, მაგრამ მას აქეთ ოდენ ერთი ფრე შემატა აქტივს, დანარჩენი მატჩები კი პირწმინდად წააგო.

სოსო სირაძეს 17-18 წლის ბავშვები ჰყავს გუნდში, ზოგიერთები 15 წლისანიც არიან და, ბუნებრივია, ასეთ ყმაწვილგუნდს ეგრევე შედეგს ვერავინ მოსთხოვს.

„ჩვენ მომავალი სეზონისთვის ვემზადებით, ახალგაზრდა ფეხბურთელებს ვარჩევთ და მათგან საუკეთესოებს დავეყრდნობით. ჩემამდე მოვიდა ხმები, რომ შესაძლოა, ახალი სეზონიდან დუბლების ჩემპიონატიც გაიმართოს, რაც თითქმის ყველა ნორმალურ ევროპულ ქვეყანაში მიღებული მეთოდია — ასეა უკრაინაში და რუსეთშიც. თუ დუბლების პირველობა გაიმართება, ეს ჩვენს წისქვილზე დაასხამს წყალს. ისიც გეცოდინებათ, რომ საბჭოეთის დროს თბილისის „დინამოს“ დუბლების თამაშებს საოცრად ბევრი მაყურებელი ესწრებოდა“ — გვითხრა სირაძემ.

აქვე შეგახსენებთ, რომ პირველი წრის შემდეგ „ლოკომოტივმა“ „ბათუმში“ რამდენიმე ლიდერი გაანათხოვრა და თუ თბილისური კლუბი მოინდომებს, ამ ფეხბურთელებს დაიბრუნებს. თუმცა, ცხადია, აქ ფინანსები ითამაშებს გადამწყვეტ როლს და ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**


# სარბიელი
## სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14



დავით ყიფიანის თასი
ფინალი
13 მაისი
სტადიონი მიხეილ მესხი

გენერალური სპონსორი
სპონსორები

i'm lovin' it
ოფიციალური სპონსორი
აიეთი
საინფორმაციო მხარდაჭერა
სარბიელი
დასაწყისი 20:00 საათზე
ბილეთის ფასი 2,3 ლარი


# სიმამრის მოტაცება
## აფხაზეთში ფეხბურთელიც გაამწარეს

კახა კალაძის გარშემო დატრიალებული ტრაგედიის მაგვარი მოხდა აფხაზეთში, კერძოდ კი ოჩამჩირის რაიონის სოფელ აგუბედიაში: შეიარაღებული დამნაშავეების ჯგუფმა 60 წლის მიტუშა შაკაია მოიტაცეს და სოხუმის მიმართულებით წაიყვანეს.

აფხაზურ წრეებში მომუშავე სპორტული ჟურნალისტები და მიმომხილველები ლაპარაკობენ, რომ მიტუშა შაკაია ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიას“ ფეხბურთელის, გიორგი ლომაიას თანაგუნდელ ბესლან აჯინჯალის სიმამრია. გამოსახსნელ თანხად კი ბოროტმოქმედები 300 ათას დოლარს ითხოვენ.

**ლუკა თალაკვაძე**

# მუჯირის 150-ე

**რუსული** პრემიერლიგის წინა ტურში დავით მუჯირის „კრილია სოვეტოვმა“ მოსკოვის „ტორპედოსთან“ 1:1 ითამაშა და „კრილიადან“ გოლი 11-მეტრიანით მუჯირმა გაიტანა. ეს დავითის მესამე გოლი იყო რუსულ პრემიერლიგაში — სამივე ბურთი მუჯირმა პენალტით შეაგდო.

ჩვენ მუჯირის გოლებს ვითვლით, ხოლო კლუბმა თავისი პენალტები დათვალა და აღმოჩნდა, რომ მუჯირის მიერ „ტორპედოსთან“ გატანილი 11-მეტრიანი „კრილია სოვეტოვის“ 150-ე პენალტი იყო — სტატისტიკოსებმა „კრილიას“ მიერ საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ჩემპიონატებში მონაგრებული 11-მეტრიანები დააჯამეს.

ასე რომ, მუჯირი საიუბილეო პენალტისტი გამოდგა.

**ნიკა ჟორჟაძე**



# ფრთხილად, ცხვირი არ გაულურჯდეს!

## ფერგი მედიდური, უხეში, უკლასო და ლუზერია

ამ არაჩვეულებრივი სიტყვებით შეამკო „მანჩესტერის“ მენეჯერი „ჩელსის“ ნახევარმცველმა კლოდ მაკელელემ. ეს კი ნიშნავს, რომ შაბათს „ჩელსი“ — „მანჩესტერის“ მატჩისას დედა შვილს არ აიყვანს ხელში. არა, შაბათს დედა ისედაც არ აიყვანდა შვილს ხელში, მაგრამ მენეჯერისთვის ფეხბურთელისგან ამის მოსმენა ნამეტანია და ვინც ალექს ფერგიუსონს იცნობს, იმან იცის, ფონი რომელიც შაბათის მატჩის წინ იქნება, სამკვდრო-სასიცოცხლოა და „მანჩესტერის“ 64 წლის მენეჯერი ამ თამაშში ჩადებს ყველაფერს, რაც კი აქვს და არა აქვს.





ალექს ფერგიუსონი მაკელელემ გალანძღა

მაკელელეს გამოხდომა მოულოდნელი იმდენადაა, რამდენადაც ამას ფეხბურთელი აკეთებს და პირადად მეტოქის მენეჯერზე ლაპარაკობს, თორემ ზოგადად გუნდის გაბრაზება-გამწარება და მისი ხასიათის წახდენა სწორედ სერ ალექსის შემოტანილია პრემიერლიგაში და ორჯერ — „ნიუკასლისა“ და „არსენალის“ წინააღმდეგ, „მანჩესტერს“ გვარიანად წაეხმარა კიდეც. ამას სხვანაირად გონებრივი თამაშები ჰქვია. ანუ თამაშამდე ერთი კვირით, ან ცოტა უფრო ადრეც, ფერგიუსონი მეტოქის კრიტიკას იწყებს და ისეთ რამეებს ამბობს, რომ მეტოქე წონასწორობიდან გამოჰყავს. თავიდან ეს შემთხვევით გამოუვიდა, მაგრამ მერე ფერგიუსონმა შეიარაღებაზეც აიღო.

დღემდე ყველას ახსოვს, ტელეკამერების წინ, მოთმინებადაკარგული ნიუკასლელთა მაშინდელი თავკაცი კევინ კიგანი, რომელიც განუწყვეტლივ და მწარედ იმეორებდა: ჩვენ მაგათ დავამარცხებთ და გაგვისწორდება, გაგვისწორდება, გაგვისწორდება... სინამდვილეში კი ისე გამოვიდა, რომ ფერგიუსონმა 8 თამაშის ზედიზედ მოგებით „ნიუკასლს“ ჩემპიონობა სწორედ ბოლო ტურში წაართვა. კიგანის აღშფოთება იმან გამოიწვია, რომ ფერგიუსონმა თქვა, ჩვენს წინააღმდეგ ყველა განსაკუთრებით ინდომებს, სხვებს კი უფრო იოლად ეთამაშებიანო. გამოთქმა შემთხვევით გამოვიდა უხერხული: ფერგის უნდოდა ეთქვა, რომ „ლიდსის“ ფეხბურთელებმა ძალიან კარგად ითამაშეს „მანჩესტერის“ წინააღმდეგ, მაგრამ ის შემთხვევითად არავის ჩაუთვლია და რახან ფერგიმ დაატყო, რომ კიგანი წყობიდან გამოიყვანა, მერე ეს ფანდი შეიარაღებაზე აიღო და მალიმალ მიმართავდა კიდეც, რამაც ერთხელ არსენ ვენგერიც გააცოფა.

ორიოდ კვირის წინ, როცა „მანჩესტერი“ „ჩელსის“ წამოეწია, ფერგიმ იძახა და იძახა, „ბოლტონში“ ძლივს მოვიგეთ, იქ ცუდი მინდორია და შევხედოთ ერთი, „ჩელსი“ რას იზამსო, მერე კიდევ — „ბლექბერნთან“ აქვთ გასვლა და ოჰ, როგორ გაუჭირდებათო. მაურინიუ არ გამოპასუხებია და პრესამაც აღიარა, ვერ აიყოლიებს, ეგონ ზე სხვა წრთობის კაცია, სხვა თაობისა და ასეთი რამეები მასზე არ გაჭრისო. არც გაუჭრია. „მანჩესტერმა“ კი შინ „სანდერლენდს“ ვერ მოუგო და „ჩელსისთან“ სხვაობა ცხრა ქულა შეიქნა.

ჰოდა, შაბათს „სტემფორდ ბრიჯზე“, „ჩელსი“ „მანჩესტერს“ მასპინძლობს და ქულაც ჰყოფნის საჩემპიონოდ. სერ ალექსმა უკვე მოარბია თავისი გუნდი „სანდერლენდთან“ ვერმოგების შემდეგ და ახლა ჩუმადაა. ამიტომ მაკელელეს აზრები მოულოდნელი იყო. ყველაზე მწარეა სიტყვა „ლუზერ“, რომელიც არა მარტო წაგებულს ნიშნავს, არამედ ზოგადად ცხოვრებაში წაგებულს, უიღბლოს და უგამოსავლოს. მოკლედ, ლუზერიო, ამპარტავანიო, ვერაგიო, უხეშიო.

„სანდერლენდთან“ თამაშისთვის არც მიყურებია, მერე კი ბევრი ვიცინე — უთხრა მაკელელემ „NEWS OF THE WORLD“-ს — ეს ძალიან კარგია, როცა ვიღაცას ასეთ ჭკვიანად მოაქვს თავი და მერე ასეთი დამცირებული ტოვებს სტადიონს. იმდენი იძახა „ჩელსი“ წააგებსო, რომ თვითონ დარჩა დაძმარებული. თუ გაგიგიათ, რომ მაურინიუს ოდესმე „მანჩესტერზე“ ელაპარაკოს? ჩვენი ფანები საკადრის დახვედრას მოუწყობენ. ჩვენც ასევე. ფერგიუსონს შვიდი წელი დასჭირდა თავისი პირველი პრემიერლიგის მოსაგებად, მაურინიუს კი — რვა თვე. „პორტუთიც“ ხომ გამოაგდო ჩემპიონთა ლიგიდან. ამან ალბათ დააკომპლექსა ფერგიუსონი. დიახ, მათ მოგვიგეს „ოლდ ტრეფორდზე“, მაგრამ 30 წლის შემდეგ არავის ეხსომება, რომ მათ მოგვიგეს, „ჩელსი“ კი ჩემპიონი გახდება და ყველას ეხსომება. ჩვენ ამპარტავნები არ ვართ. ამპარტავანი ეგაა, ჩვენ წაგებაზე რომ ილაპარაკა და მერე თვითონ ვერ მოიგო. ასე მარტო ლუზერები და უიმედოები ლაპარაკობენ. შაბათს ნახავს და აღიარებს, რა კარგები ვართ მოედანზე. მე დიდხანს ვთამაშობდი „რეალში“ და მეტოქეზე არასდროს მიფიქრია, მხოლოდ ჩემს თავზე ვფიქრობდი, მაურინიუსთანაც ასე ვარ. „მანჩესტერს“ კი მაშინ თუ ეშველება, მენეჯერად ყოზეს თუ აიყვანს“.

ჰოო, შეიძლება მაკელელეს ნათქვამში ყველაფერი მართალია, მაგრამ სწორი არაფერია. ზოგჯერ, ფერგიუსონის სხვის გუნდზე ლაპარაკი უწყინარი კრავის კიკინია იმასთან შედარებით, რასაც მაურინიუ თავის თავზე და თავის გუნდზე ამბობს ხოლმე. ამ გუნდს ჯერ საწყობში ჩემპიონის თასი კი არა, ერთი ინგლისური დუბლიც არა აქვს. ეს შეიძლება კონტინენტზე არცთუ მნიშვნელოვან რამედ ჩანდეს, მაგრამ იმ წიგნებში, რომელთაც მაკელელეს შვილიშვილები გადაშლიან, რათა ბაბუის ჩემპიონობის წელი იპოვონ, სხვა გუნდებს აუცილებლად ეწერებათ მხოლოდ ინგლისელთათვის ახლობელი და მნიშვნელოვანი სიტყვა „DOUBLE“. ეს კი იმას გვახსენებს, რომ მაურინიუს ძალიან უნდოდა ასოციაციის თასი, რომელთანაც გასულ კვირას „ლივერპულმა“ არ მიუშვა და რომელსაც „ჩელსის“ უფროსები ითხოვენ, რათა წლის ბოლოს გამოფხიზლებული „სტემფორდ ბრიჯის“ პუბლიკა ინგლისური ფეხბურთის წმინდა გრაალით გაახარონ.

ასეც რომ არ იყოს, ღათვის გამოღვიძება არ ღირდა: „ჩელსის“ ქულა უნდა და შეიძლება შაბათს ერთბაშად სამიც აიღოს, მაგრამ მაკელელემ მიძინებული ნადირი გამოაღვიძა და ეს ნადირი მძიმე ვითარებაში შეცდომებს კი არ უშვებს, სრულ სიგიჟეებს ჩადის და ეს სიგიჟეები წარმოუდგენელ გამარჯვებებს შობს ხოლმე. ამიტომ, უმჯობესი იყო, მაურინიუს გაეფრთხილებინა თავისი ვეტერანი, რადგან რაც უფრო ულურჯდება ცხვირი სერ ალექსს, ის მით უფრო საშიში ხდება. თანაც მაურინიუ და ფერგიუსონი არასდროს ლანძღავენ ერთმანეთს, მეგობრობას უჩვენებენ ხალხს და ღვინოსაც კი სვამენ ერთად.

შაბათს ჩემპიონის ბედი კი არ წყდება, არამედ ერთი ვერდაბერებული კაცის ამპარტავნობის, უხეშობის და მედიდურობის საკითხი, რადგან ეს ყველაფერი ფერგიუსონში არის და ამ ყველაფერს, ის თავისი მაგარი ფეხბურთით უმაგრებს კედლებს.

**ირაკლი გამყრელიძე**
*ლონდონიდან*

# შვედი: ათამაშეთ ეშლი!



**ინგლისის** ნაკრების მთავარი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი ფეხბურთელების ტრავმებს შეუწუხებია. ყველაზე მეტად იგი ეშლი კოულზე ნერვიულობს, რომელმაც „არსენალში“ ბოლო 6 თვეში მხოლო ერთხელ ითამაშა. მცირე ტრავმა აქვს სოლ კემპბელსაც, რომელმაც გატეხილი ცხვირი ახლახან მოირჩინა. თუმცა კემპბელის საქმე უფრო მარტივადაა და მას ბოლო პერიოდში სათამაშო პრაქტიკაც აქვს, კოულთან შედარებით.

„კოულისა და კემპბელის საქმე ნელ-ნელა უკეთესად მიდის და ეს ძალიან სასიხარულოა. ეშლიმ უკვე სარეზერვო გუნდში ითამაშა და არცთუ ურიგოდ. ახლა „არსენალს“ სამი მატჩი დარჩა და სასურველია, თუ სულ ერთში კიდევ მაინც ითამაშებს. ძალიან ცუდი იქნება, სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის გამო კოულზე უარის თქმა რომ მომიხდეს, რადგანაც იგი ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა მცველია“ — თქვა ერიკსონმა.

შვედი „ტოტენჰემის“ ფეხბურთელებზე, ლედლი კინგზე და ჯერმენ ჯენასზეც ნერვიულობს: „ჯენასი ალბათ მზად იქნება, ლედლის ამბავი კი ჯერ უცნობია. იმედია, გამოჯანმრთელებას ისიც მოასწრებს. 8 მაისამდე დავიცდი, სანამ ფეხბურთელებს შევარჩევ და, სავარაუდოდ, 23-ის ნაცვლად 27-ს გამოვიძახებ სარეზერვოების ჩათვლით, 15 მაისს კი საბოლოო სიას წარმოგიდგენთ“.

ტრავმა ჰქონდა მაიკლ ოუენსაც, მაგრამ „ნიუკასლის“ ფორვარდი მომჯობინდა და ამ სეზონში თამაშს კიდევ მოასწრებს.

**ჭოჭი ჭანდელაკი**

# ლოთარული აზრები



**ლოთარ მათეუსს** მიაჩნია, რომ არგენტინას უფრო მეტი შანსი აქვს მსოფლიოს ჩემპიონობისა, ვიდრე ბრაზილიას:

„არა მგონია, ეს ჩემპიონატი ბრაზილიამ მოიგოს. მათ შეიძლება ჰყავთ მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელები, მაგრამ არა — საუკეთესო გუნდი. მე ვფიქრობ, რომ ბრაზილიას განსაკუთრებით დაცვაში აქვს ბევრი პრობლემა და ამიტომ, უმთავრეს ფავორიტად არგენტინა მიმაჩნია. ზოგადად, კარგია, როცა ახალგაზრდა ფეხბურთელები ბრწყინავენ: მაგალითად, მესი, კრიშტიანუ რონალდუ, სესკ ფაბრეგასი ან უეინ რუნი, თუმცა მთავარი გუნდია და არა თითოეული მოთამაშე. ერთი ფეხბურთელი რომ კარგად ითამაშებს, მაგრამ მისი ნაკრები მერვედფინალში მაინც ვერ გავა — ეს ცუდია. ინგლისს და იტალიასაც კარგი შანსი აქვთ ჩემპიონატის მოგებისა, ოღონდ ჰოლანდიითაც მოხიბლული ვარ. მარკო ვან ბასტენი ნაკრებს ერთ მუშტად თუ შეკრავს, ფინალში გავლენ.

რაც შეეხება გერმანიას, გამიკვირდება ჩვენი გუნდი ნახევარფინალში რომ გავიდეს. მე კი მსურს, რომ ჩემპიონები გახდნენ, მაგრამ რეალისტი ვარ და ეს ძალიან მეეჭვება“.

## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

# ლემანი ანრიმ მოატყუა, რიკელმემ — ვერა

## ყვითელი წყალქვეშა ნავი სუპერმენმა ჩაძირა

**ვილიარეალი (ესპანეთი) 0:0 არსენალი (ინგლისი) (0:1)**
*რიკელმემ ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)*
**ვილიარეალი:** ბარბოსა, ხავი ვენტა, კიკე ალვარესი, პენია, არუაბარენა (როხერი 82), ხოსიკო (ხოსე მარი 63), სენა, სორინი, რიკელმე, ფორლანი, გ. ფრანკო
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
**არსენალი:** ლემანი, ებუ, ტურე, კემპბელი, ფლამინი (კლიში 9), გლები, ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, ლიუნგბერგი, რეიესი (პირესი 69), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
23 000 მაყურებელი



AFP ფოტოარქივიდან

**„თამაშამდე** ორი დღით ადრე ვიფიქრე, რომ პენალტს დანიშნავდნენ და რიკელმე დაარტყამდა. ასეც მოხდა. იმ მომენტში ტიერი ანრიმ მანიშნა, ბურთს გაუნძრევლად, ადგილზე დავლოდებოდი, თუმცა მე უკანასკნელ წამს გადაწყვეტილება შევცვალე და მარცხნივ გადახტომა ვარჩიე... ძალიან ბედნიერი ვარ“ — განუცხადა ჟურნალისტებს „არსენალის“ მეკარემ იენს ლემანმა. გერმანელი „ელ მადრიგალზე“ გამართული მატჩის გმირია, 90-ე წუთზე ხუან რომან რიკელმეს პენალტი აუღო, რითაც ესპანელებს ფინალში გასვლის ოცნება დაუსამარა.

ლონდონის „არსენალი“ ფანებს სწორედ შემტევი, ლაღი სტილის გამო მოსწონთ, თუმცა არსენ ვენგერმა „მეთოფეები“ „ვილიარეალთან“ მთლიანად დაცვაზე გადართო. სადღა იყო ის „არსენალი“, „რეალს“ ან „იუვენტუსს“ თავბრუდამხვევი იერიშებით რომ აწიოკებდა — „ელ მადრიგალზე“ შეკრებილმა ინჩასებმა უფერული და 1:0-ის შენარჩუნებისთვის თავგადადებული „მეთოფეები“ იხილეს. ლონდონელებს მეტოქის კარში არ დაურტყამთ, თუმცა ვილას ემახსოვრება „მადრიგალი“, როცა ფრანგი ვენგერის გუნდი ლიგის ფინალში ფრანგულ „სტად დე ფრანსზე“ ამაყად გაიჯირითებს?

პირველ ტაიმში უპირატესობას მთლიანად „ვილიარეალი“ ფლობდა. მე-17 წუთზე სენამ ხუან პაბლო სორინის კარგი პასი მისცა, თუმცა არგენტინის ნაკრების კაპიტნის სახიფათო გასროლა იენს ლემანმა უკუაგდო. შემდეგ გილერმო ფრანკომ გაფლანგა ორი საგოლე ეპიზოდი. მექსიკელმა ჯერ კოლო ტურე მოატყუა, მეორედ კი დიეგო ფორლანის პასით ვერ ისარგებლა. სორინი და რიკელმეც თავდასხმაში კარგად მოქმედებდნენ. ლონდონური მატჩის გმირ კოლო ტურეს ბევრი ოფლის ღვრა მოუწია „ყვითელი“ ფორვარდების გასანეიტრალებლად.

„არსენალი“ მასპინძელთა განუწყვეტლივ იერიშებს იგერიებდა. ლემანიც სულ თამაშში იყო ჩართული, განსხვავებით „ვილიარეალის“ მეკარე ბარბოსასგან — „ყვითლების“ გოლკიპერს საქმე არ ჰქონდა და მატჩის მერე ესპანელმა ჟურნალისტებმა იხუმრეს კიდეც, ბარბოსას ოჯახმა პოლიციაში მისი დაკარგვის შესახებ განაცხადა, ბიჭი არსად ჩანს და ემანდ არ დავილუპოთო... პირველი ტაიმის ბოლო ლემანმა კიდევ ერთხელ იხსნა „არსენალი“, გილიერმო ფრანკოს დარტყმა რაღაც სასწაულით მოიგერია. შემდეგ რიკელმემ გაისროლა საჯარიმო და... რასაკვირველია, ისევ იენს ლემანია ადგილზე. ტაიმთაშორისმა დაქანცულ „მეთოფეებს“ სწორედ სულზე მიუსწრო.

სანამ გუნდები თამაშს განაახლებდნენ, კაი სახალისო ამბავი მოხდა „ელ მადრიგალზე“. მავანი ინჩასი სტადიონის დაცვას მოხერხებულად დაუსხლტა და ტიერი ანრის მივარდა. ფანს „ბარსელონას“ 14-ნომრიანი მაისურა ეჭირა ხელთ ანრის გვარით. მოგეხსენებათ, სამომავალსეზონოდ „მეთოფეთა“ ჯადოსნურ ფრანგს კატალონიური გრანდის ფეხბურთელად მოიაზრებენ და „კამპ ნოუს“ ინჩასმაც ამიტომ შემოახვია ანრის თავისი საყვარელი გუნდის მაისურა. ეს კატალონიელთა ორიგინალური სატრანსფერო შეთავაზება იყოო, დაწერა ინგლისურმა „სანმა“...

„ბარსაზე“ გულშევარდნილი კაცი დაცვამ ციმციმ გაარბენინა მოედნიდან და გუნდები კვლავ ბრძოლაში ჩაებნენ. ვითარება არც მეორე ტაიმში შეცვლილა — „ვილია“ უტევს და „არსენალი“ დაცვაშია. გილიერმო ფრანკომ კიდევ რამდენჯერმე სცადა ამ ბასტიონის შელეწვა და მისი თავური ოდნავ ზუსტი რომ ყოფილიყო, „ყვითლების“ გულშემატკივრები გოლს იზეიმებდნენ... თვით „სუპერმენი“ ლემანიც კი უძლური იქნებოდა იმ ეპიზოდში.



მანუელ პელეგრინიმ ხოსიკოს ნაცვლად ხოსე მარი ჩართო თამაშში და კინაღამ ბედს სწია „ელ მადრიგალი“ — 89-ე წუთზე ხოსე მარი „არსენალის“ საჯარიმოში კლიჩიმ მოცელა და ივანოვმაც პენალტი დანიშნა. ბურთთან, რა თქმა უნდა, „ვილიარეალის“ პატაგონიელი ლიდერი რიკელმე მივიდა და... დანარჩენი თქვენც იცით, ალემანი ლემანის სუპერმენობამ საამსეზონო ლიგის აღმოჩენა გუნდს ანდერძი აუგო.



„სამწუხაროდ, ისეთი თავგადასავალი დასრულდა, რომელსაც შემდგომში ძნელად თუ გავიმეორებთ. ლიგაზე შესანიშნავი დებიუტი გვქონდა და ფინალში გასასვლელადაც მაქსიმალურად დავიხარჯეთ, თუმცა ბედმა მეტოქეს გაუღიმა. თამაშს მთელი მატჩის განმავლობაში ვაკონტროლებდით, ფრანკოს რამდენჯერმე შეეძლო გოლის გატანა. შემდეგ რიკელმეს პენალტი... „არსენალმა“ „რეალს“ და „იუვეს“ გადაუარა, ჩვენ კი ლონდონელებს ბრწყინვალედ ვეთამაშეთ“ — განაცხადა მატჩის შემდეგ „ყვითლების“ მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ.

„შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. „მადრიგალზე“ ჩვენი საქმე გავაკეთეთ, ფინალში კი ხალხი სულ სხვანაირ „არსენალს“ იხილავს. იენს ლემანმა ყველას დაუმტკიცა, რომ შესანიშნავ ფორმაშია. რიკელმეზე კი დაძაბულობამ იმოქმედა. „არსენალი“ ფინალში გასვლას ნამდვილად იმსახურებდა“ — აღნიშნა „მეთოფეთა“ თავკაცმა არსენ ვენგერმა.

ინგლისური მედიის მიერ „სუპერმენად“ მონათლულმა ლემანმა კარის მშრალად შენახვაში ჩემპიონთა ლიგის რეკორდი გაუმჯობესა. აქამდე რეკორდი ვან დერ სარს ეკუთვნოდა — 658 „მშრალი წუთით“, ახლა კი 745-ით ლემანი ლიდერობს. „არსენალმაც“ მოხსნა რეკორდი, აქამდე ზედიზედ 10 ევროთამაშში წაუგებლად არავის უვლია. „ვილიარეალის“ ავანტიურა კი ღირსეულად დასრულდა — **GRACIAS POR TODO** (მადლობა ყველაფრისთვის) ეწერა გუშინ ბევრი ესპანური გაზეთის თავფურცელზე.

**ლადო ხომერიკი**



AFP ფოტოარქივიდან

ანრის „ბარსელონას“ მაისურა შეაჩეჩეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

### F ჯგუფი

### ბრაზილია, ხორვატია ავსტრალია, იაპონია

# კენგურუს ოცდათორმეტწლიანი ნახტომი



გუს ჰიდინკი

**ავსტრალია** ძალიან ხშირად გადიოდა პლეი ოფში, მაგრამ გადამწყვეტი მატჩების მოგებას ვერ ახერხებდა. „ოზები" მუნდიალზე აქამდე მხოლოდ ერთხელ, 1974 წელს იყვნენ და მაშინაც, ერთი გოლის გატანაც კი ვერ შეძლეს და ჩემპიონატზე თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

ბოლო წლებში ავსტრალიას არაერთი ნიჭიერი მოთამაშე გამოუჩნდა, რომლებიც სხადასხვა ევროპულ კლუბებში არიან მიმოფანტულნი. ამ თაობისგან ბევრს ელოდნენ, მაგრამ სანამ ნაკრები გუს ჰიდინკმა არ ჩაიბარა, ავსტრალიამ ვერაფერი ვერ მოახერხა. შესარჩევ ჯგუფში „ოზებმა" 5 მატჩიდან ოთხი ადვილად მოიგეს ერთი კი მოულოდნელად ფრედ დაასრულეს მეორე ადგილზე გასულ სოლომონის კუნძულებთან, რომელსაც მერე გადათამაშებაში შეხვდნენ და იოლად მოუგეს (7:0, 2:1). ურუგვაისთან პლეი ოფში კი 0:1 დამარცხდნენ მონტევიდეოში. მარკო ბრეშიანოს გოლის წყალობით ამავე ანგარიშით იმარჯვეს სიდნეიში და საბოლოოდ პენალტების სერიაში 4:2 დაამარცხეს მეტოქე, რითაც ათიათასობით ფანის წინაშე მუნდიალის ნანატრი საგზური მოიპოვეს.

* * *

*მწვრთნელი:* გუს ჰიდინკს საფეხბურთო სამყარო კარგად იცნობს. იგი 1946 წლის 8 ნოემბერს დაიბადა ვარსეველდში. ამჟამად ავსტრალიის ნაკრებს და პსვ-ს ერთდროულად წვრთნის, მაგრამ ზაფხულში ორივეს დატოვებს და რუსეთის ნაკრების თავკაცი გახდება. თავის დროზე ჰიდინკი ფეხბურთელიც გახლდათ, მაგრამ არცთუ წარმატებული. იგი ნახევარმცველი იყო და კარიერის უმეტესი ნაწილი „გრააფსხაპში" გაატარა.

სამწვრთნელო კარიერა გაცილებით ხვავიანი გამოუვიდა. იგი ჯერ „გრააფსხაპში" მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა, 1987 წელს პსვ-ს თავკაცი გახდა და ეროვნული ჩემპიონატი სამჯერ მოაგებინა. რაც მთავარია, 1988 წელს ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა. ამას თურქული „ფენერბაჰჩე" და ესპანური „ვალენსია" მოჰყვა.

1995 წელს ჰიდინკმა ნიჭიერი და ახალგაზრდა ფეხბურთელებით გაძეძგილი ჰოლანდია ჩაიბარა. 1998 წლის მუნდიალზე „ნარინჯისფერებმა" საკმაოდ კარგად ითამაშეს, მაგრამ ნახევარფინალში პენალტებით წააგეს ბრაზილიასთან და ჰიდინკიც წავიდა ეროვნული ნაკრებიდან. მან მადრიდის „რეალში" ფაბიო კაპელო შეცვალა და ერთი სეზონის მერე „ბეტისში" გადავიდა, მაგრამ მხოლოდ 3 თვით. 2001 წლის 1 იანვარს ჰიდინკმა სამხრეთ კორეის ნაკრები ჩაიბარა და 2002 წელს აზიელები მუნდიალის ნახევარფინალშიც გაიყვანა, რის მერეც პსვ-ში დაბრუნდა, ხოლო 2005 წლის ივნისში ავსტრალიის ნაკრების თავკაცად დანიშნეს.

* * *

*კაპიტანი:* მარკ ენტონი ვიდუკა 1975 წლის 9 ოქტომბერს მელბურნში დაიბადა. მას ხორვატი წინაპრები ჰყავს და 1994 წელს კარიერაც „მელბურნ კროატიაში" დაიწყო. იმავე წელს გახდა ავსტრალიის ნაკრების წევრი. თუმცა 1995 წელს მაინც ისტორიულ სამშობლოში გადაბარგდა და სამი სეზონი „ზაგრებში" გაატარა. 1998 წელს იგი „სელტიკმა" იყიდა, სადაც თავი გამოიჩინა და 2000 წელს დევიდ ოლირის „ლიდსში" აღმოჩნდა. ამ სიმპათიური კლუბის დასუსტების და პრემიერლიგიდან გავარდნის შემდეგ კი „მიდლსბროში" გადავიდა, სადაც ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

* * *

*შესარჩევი ეტაპის ვარსკვლავი.* მეკარე მარკ შვარცერი 1997 წელს „ბრედფორდიდან" „მიდლსბროში" გადაბარგდა და დღემდე კლუბის ერთ-ერთი ლიდერია. გამოცდილმა გოლკიპერმა „ბოროს" ბოლო წლების წარმატებაში და პრემიერლიგაში დამკვიდრებაში ლომის წილი დაიდო. ურუგვაისთან პლეი ოფის მატჩებში მან ჩინებულად ითამაშა, რაც პენალტების სერიაში ორი ბურთის მოგერიებით დაადასტურა.

* * *

*ახლანდელი ვარსკვლავი:* ჰარი კიუელი ძალიან ტექნიკური და სწრაფი ფეხბურთელია. იგი 1978 წლის 2 სექტემბერს სიდნეიში დაიბადა. მისი პირველი პროფესიული კლუბი „ლიდსი" გახლდათ, სადაც 1995 წელს გადავიდა. 2003 წელს იგი „ლივერპულში" გადაბარგდა, რომლის რიგებშიც გახდა მეორე ავსტრალიელი კრეიგ ჯონსტონის შემდეგ, ვისაც ჩემპიონთა ლიგა მოუგია. მისი მეუღლე ბრიტანელი მსახიობი შარლი მერფია. ჰყავს ორი შვილი, ტეილორი და რუბი. კიუელის სპონსორი „ადიდასი" გახლავთ. საინტერესოა, რომ 2002 წელს 3 გოლით და 2003 წელს 4 გოლით გახდა პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი მარცხენა ფეხით გატანილ გოლებში. კიუელი ცაციაა და თამაშობს მარცხენა გარემარბად, ანაც ფორვარდად.

* * *

\+ ბევრი შემტევი ფეხბურთელი და ნახევარდაცვაში კარგი თამაში.



მარკ ვიდუკა



ჰარი კიუელი

* * *

− დიდ ტურნირში თამაშის გამოცდილების ნაკლებობა და სუსტი დაცვა.

* * *

*აზრი:* „1974 წლის მერე ნავსი გავტეხეთ და მუნდიალზე მოვხვდით. თანაც ახლა უფრო გამოცდილი და ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს, რაც იმედის საფუძველს გვაძლევს" — ჯონ ჰოქსლი, ჟურნალისტი.

## ავსტრალიის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 12 ივნისი | ავსტრალია — იაპონია | კაიზერსლაუტერნი |
| 18 ივნისი | ბრაზილია — ავსტრალია | მიუნხენი |
| 22 ივნისი | ნორვეგია — ავსტრალია | შტუტგარტი |

## ავსტრალიის გზა ფინალური ეტაპისკენ

### I საკვალიფიკაციო წრე

| | | |
|---|---|---|
| 29.05.2004 | ავსტრალია — ახალი ზელანდია | 1:0 |
| 31.05.2004 | ავსტრალია — ტაიტი | 9:0 |
| 02.06.2004 | ავსტრალია — ფიჯი | 6:1 |
| 04.06.2004 | ვანუატუ — ავსტრალია | 0:3 |
| 06.06.2004 | სოლომონის კ-ები — ავსტრალია | 2:2 |

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 5 | 4 | 1 | 0 | 21:3 | 13 |
| სოლომონის კ-ები | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| ახალი ზელანდია | 5 | 3 | 0 | 2 | 17:5 | 9 |
| ფიჯი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:10 | 4 |
| ტაიტი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:24 | 4 |
| ვანუატუ | 5 | 1 | 0 | 4 | 5:9 | 3 |

### II საკვალიფიკაციო წრე. პლეი ოფი

| | | |
|---|---|---|
| 03.09.2005 | ავსტრალია — სოლომონის კ-ები | 7:0 |
| 06.09.2005 | სოლომონის კ-ები — ავსტრალია | 1:2 |

### III საკვალიფიკაციო წრე. პლეი ოფი

| | | |
|---|---|---|
| 12.11.2005 | ურუგვაი — ავსტრალია | 1:0 |
| 16.11.2005 | ავსტრალია — ურუგვაი | 1:0(პენ.4:2) |

# ზიზუს წასვლით კაცობრიობა იზარალებს

**ზინედინ ზიდანმა** საგანგებო პრესკონფერენციაზე ფეხბურთიდან წასვლის მიზეზებზე ისაუბრა. ზიზუ დიდ ფეხბურთს 2006 წლის გერმანიის მუნდიალის შემდეგ დაემშვიდობება. ფრანგმა განაცხადა, რომ ის ამ გადაწყვეტილებამდე ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მივიდა.

„აქ იმიტომ მოვედი, რომ ჩემთვის უმნიშვნელოვანეს საქმეზე ვისაუბრო. ამ სეზონის შემდეგ ფეხბურთს თავს ვანებებ. გადაწყვეტილება დიდი განსჯის შემდეგ მივიღე. ფეხბურთიდან წასვლა ერთ დღეში არ მომიფიქრებია. გარდა ამისა, მინდა, „რეალს" მომავალი სეზონის დაგეგმვაში დავეხმარო, მადრიდში ჩემი შემცვლელი დროულად უნდა მოძებნონ" — განუცხადა სახელგანთქმულმა ფრანგმა მედიას.

ვინძლო, ზიდანმა მომავალში „რეალის" საბავშვო გუნდებთან იმუშავოს. „პრეზიდენტს უკვე შევხვდი. კარგი იქნება, თუ ბავშვთა ფეხბურთთან დაკავშირებულ საქმეს მოვეკიდები. „რეალში" კიდევ ბევრი სამუშაო დამრჩა და ბავშვებსაც ვასწავლი ფეხბურთის ანბანს. საცხოვრებლად ესპანეთში დავრჩები" — განაცხადა ზიზუმ. გალმა „რეალში" 5 წლის განმავლობაში 151 ოფიციალური მატჩში ითამაშა და 35 გოლი გაიტანა. მისი დებიუტი 2001 წლის 25 აგვისტოს „მესტალიაზე" შედგა „ვალენსიასთან".

სამეფო გუნდის ვარსკვლავის გადაწყვეტილებას მსოფლიო ფეხბურთის ჩაუქნი დაღონებით შეხვდნენ. „ზიდანი საუცხოო, ბრწყინვალე ფეხბურთელია, ვარსკვლავი, რომლის მსგავსი შეიძლება, მომავალში ვერც ვიხილოთ. მას შეეძლო, ორმოც წლამდეც ეთამაშა. ზიზუს ნიჭის და ტალანტის მქონე კაცს ასაკი რას დააკლებს". — თქვა ალფრედო დი სტეფანომ, „რეალის" საპატიო პრეზიდენტმა და წარსულში სამეფო თეთრების ლეგენდარულმა მოთამაშემ.

„ზინედინ ზიდანის" ფეხბურთიდან წასვლა მარტო „რეალისთვის" არაა დანაკლისი. ზიზუ თუ მოედანზე არ გამოჩნდა, ამით მთელი კაცობრიობა იზარალებს" — განაცხადა „რეალის" ექსპრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა.

იტალიის ნაკრების თავკაცმა და „იუვენტუსის" ყოფილმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ კი აღნიშნა, ჩემთვის დიდი პატივია, „იუვეში" ასეთი ფეხბურთელი რომ მყავდაო. „მიუხედავად იმისა, რომ საოცარი მოთამაშეა, თავისი ვარსკვლავობა თავში არ ავარდნია. იგი უბრალო და გენიალურია" — ამბობს სენიორ ლიპი.



**ლადო ხომერიკი**

## UEFA CUP შეფას თასი 2005-06. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

# მაკლარენმა ფურცელი მოითხოვა



მარკ შვარცერი „მიდლსბროს" ვერ დაეხმარება

**130-წლიან** ისტორიაში „მიდლსბროს" პირველად აქვს ევროტურნირის ფინალში გასვლის შანსი. „ბორო" გასულ კვირას ინგლისის ასოციაციის თასის ნახევარფინალში „ვესტ ჰემთან" დამარცხდა და სეზონის ბოლო იმედად „სტიაუასთან" მატჩიღა დარჩა.

„ბიჭებმა უკვე იგემეს ნახევარფინალში პარცხის სიმწარე და იგივე აღარ უნდა განმეორდეს. გუნდი გრძნობს, რომ ისტორიაში ახალი ფურცლის ჩაწერა შეუძლია და დღეს აუცილებლად უნდა მოვიგოთ" — თქვა „მიდლსბროს" თავკაცმა სტივ მაკლარენმა, რომელიც ინგლისის ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატია და ფინალში თუ გავა, მისი რეიტინგი უფრო აიწევს.

ბოროელებს, „ვესტ ჰემთან" თამაშში, ძირითადი მეკარე მარკ შვარცერი დაუშავდათ და მის ადგილს ბრედ ჯონსი დაიკავებს. სამაგიეროდ, მცველები — გარეთ საუთგეიტი და კრის როგორტი გამოკეთდნენ. „სტიაუასთან" პირველი მატჩი ორივემ გამოტოვა, რის გამოც „მიდლსბროს" დაცვაში მეტოქის ფეხბურთელები დასეირნობდნენ და მხოლოდ იღბლის წყალობით იყო, რომ ინგლისელებმა ერთ გოლზე მეტი არ გაუშვეს.

„სტიაუამ" კი გასულ უქმეებზე „ფარულს" 3:0 მოუგო, მიუხედავად იმისა, რომ კოზმინ ოლაროიუმ ძირითადი შემადგენლობის ექვსი ფეხბურთელი დაასვენა. „ჩვენ უკვე ზედიზედ სამი მატჩი მოვიგეთ გოლგაუშვებლად და ეს ყველაზე მეტად მახარებს" — თქვა მწვრთნელმა.

„სტიაუას" დღეს ვერ დაეხმარებიან დისკვალიფიცირებული ბანელ ნიკოლიტა და სორინ პარასკივი. ფორვარდ ნიკოლიტას, ალბათ, დანიელ ბალანი შეცვლის, პარასკივს კი — ფლორინ ლოვინი.

„მათ უკვე წააგეს ნახევარფინალი „ვესტ ჰემთან" და ახლა გაათმაგებული ჟინით იბრძოლებენ. ამიტომ ძალიან მძიმე თამაში გველის" — განაცხადა ნიკოლაე დიკამ, რომელმაც ბუქარესტულ მატჩში გაიტანა.

გელზენკირხენის „შალკეს" ბუნდესლიგაში მიჯრით ხუთ ტურში არ მოუგია. გუნდი მეოთხე ადგილზეა და ალბათ მესამეს ველარ შესწვდება, რაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურს მოუტანდა. „ხუმარებს" უეფას თასზეღა დარჩათ შანსი. „შალკეს" გოლიანი ფრეც აძლევს ხელს სევილიაში, სევილიელი რენატო კი ამბობს: „სწრაფი გოლის გატანა უნდა ვცადოთ, რომ მერე „შალკე" კონტრშეტევაზე გამოვიჭიროთ და საქმე დავამთავროთ".

გასულ უქმეებზე პრიმერადივიზიონში „სევილია" — „ბარსელონას" მატჩი წვიმის გამო არ შედგა და ხუანდე რამოსის გუნდი უფრო დასვენებულ-დაწყნარებულია, ვიდრე მისი მეტოქე „შალკე". მასპინძლებს მეგოლე ფრედერიკ კანუტი და მცველი ივიცა დრაგუტინოვიჩი ჰყავთ ტრავმირებული. ცენტრალური მცველი ხავი ნავარო და ფორვარდი კეპა კი დისკვალიფიცირებულნი არიან. რაც შეეხება „შალკეს", სტუმრებს მლადენ კრსტაიჩი დააკლდებათ, რომელიც პირველ მატჩში გააძევეს.

### სევილია (ესპანეთი) — შალკე (გერმანია) (0:0)

**სევილიას ბოლო ათი საშინაო მატჩი**

| | | |
|---|---|---|
| სევილია — სარაგოსა | 1:1 | პდ |
| სევილია — ზენიტი | 4:1 | უთ |
| სევილია — ვალენსია | 1:0 | პდ |
| სევილია — მალიორკა | 1:1 | პდ |
| სევილია — ლილი | 2:0 | უთ |
| სევილია — ბილბაო | 2:1 | პდ |
| სევილია — ლოკომოტივი (მ) | 2:0 | უთ |
| სევილია — სელტა | 1:0 | პდ |
| სევილია — ოსასუნა | 0:1 | პდ |
| სევილია — ვილიარეალი | 2:0 | პდ |

პდ — პრიმერადივიზიონი, უთ — უეფას თასი

**შალკეს ბოლო ათი მატჩი სტუმრად**

| | | |
|---|---|---|
| ვერდერი — შალკე | 0:0 | ბლ |
| დუისბურგი — შალკე | 1:1 | ბლ |
| ლევსკი — შალკე | 1:3 | უთ |
| ბაიერნი — შალკე | 3:0 | ბლ |
| პალერმო — შალკე | 1:0 | უთ |
| ჰანოვერი — შალკე | 1:2 | ბლ |
| ესპანიოლი — შალკე | 0:3 | უთ |
| ჰერტა — შალკე | 1:2 | ბლ |
| გლადბახი — შალკე | 0:0 | ბლ |
| ლაუტერნი — შალკე | 0:2 | ბლ |

ბლ — ბუნდესლიგა, უთ — უეფას თასი

### მიდლსბრო (ინგლისი) — სტიაუა (რუმინეთი) (0:1)

**მიდლსბროს ბოლო ათი საშინაო მატჩი**

| | | |
|---|---|---|
| მიდლსბრო — ვესტ ჰემი | 0:1 | ათ |
| მიდლსბრო — ვესტ ჰემი | 2:0 | პლ |
| მიდლსბრო — ჩარლტონი | 4:2 | ათ |
| მიდლსბრო — ნიუკასლი | 1:2 | პლ |
| მიდლსბრო — ბაზელი | 4:1 | უთ |
| მიდლსბრო — ბოლტონი | 4:3 | პლ |
| მიდლსბრო — რომა | 1:0 | უთ |
| მიდლსბრო — ბირმინგემი | 1:0 | პლ |
| მიდლსბრო — შტუტგარტი | 0:1 | უთ |
| მიდლსბრო — ჩელსი | 3:0 | პლ |

პლ — პრემიერლიგა, უთ — უეფას თასი, ათ — ასოციაციის თასი

**სტიაუას ბოლო ათი მატჩი სტუმრად**

| | | |
|---|---|---|
| დინამო — სტიაუა | 1:1 | რჩ |
| ოცელული — სტიაუა | 0:3 | რჩ |
| რაპიდი — სტიაუა | 1:1 | რჩ |
| ნაციონალი — სტიაუა | 0:0 | რჩ |
| ბეტისი — სტიაუა | 0:3 | უთ |
| ჰერენვენი — სტიაუა | 1:3 | უთ |
| ჰერტა — სტიაუა | 0:0 | უთ |
| პეტროშანი — სტიაუა | 1:2 | რჩ |
| კლუჟი — სტიაუა | 1:0 | რჩ |
| სამპდორია — სტიაუა | 0:0 | უთ |

უთ — უეფას თასი, რჩ — რუმინეთის ჩემპიონატი

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „ევერტონის" ნახევარმცველი ტიმ ჩეჰილი „ბირმინგემთან" მატჩში დაშავდა და ექვსი კვირა ვერ ითამაშებს. 26 წლის ფეხბურთელს მუხლის მყესები დაუზიანდა. ჩეჰილს, ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვებაც მოუწევს.

**გერმანული** „ჰამბურგის" ჰოლანდიელი მცველი ხალიდ ბულარუზი გუნდიდან წასვლით იმუქრება. ბულარუზი მას შემდეგ აჯანყდა, რაც გაიგო, რომ კლუბი დანიელ ვან ბუიტენის „ბაიერნისთვის" მიყიდვას აპირებს. „მე და დანიელს ზეპირი შეთანხმება გვქონდა რამდენიმე წელი დავრჩენილიყავით „ჰამბურგში", მაგრამ ის თუ წავა, მეც აღარ დავრჩები" — თქვა ბულარუზმა.

**იტალიური** „იუვენტუსი" მანუელ პასკუალის ჩაიგდებს ხელში. აპენინებზე გავრცელდა ცნობა, რომ ტურინელებმა „არეცოსგან" 23 წლის მცველის კონტრაქტი უკვე გამოისყიდეს და ახლა „ფიორენტინასთან" ექნებათ მოლაპარაკება. მოგეხსენებათ, პასკუალი ამჟამად „იებშია" და მიმდინარე სეზონს ჩინებულად ატარებს. „იუვემ" „კალიარის" ნიჭიერ ჰონდურასელ თავდამსხმელ დავიდ სუაცოსაც დაადგა თვალი. 10 მილიონ გირვანქად შეფასებულ 26 წლის ფეხბურთელს „რომა" და „მანჩესტერ იუნაიტედიც" უტრიალებენ.

## ინგლისი

**პრემიერლიგა. XXXVI ტური**

**ასტონ ვილა 0:1 სიტი**

0:1 ვასელი (71)

**ასტონ ვილა:** სორენსენი, ა. ჰიუზი, მელბერგი, გ. ჩეჰილი, ბერი, რიდგუელი (ფილიპსი 76), ჯ. სამუელი, გ. მაკკანი, ჯ. მილნერი, პ. ანხელი, ბაროში (აგბონლაჰორი 58)

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

**სიტი:** ჯეიმსი, რიჩარდსი, სომეილი, რ. დანი, დისტინი, ბარტონი, კ. რეინა, რიერა (მუსამპა 90), სინკლერი, სამარასი (სიბიერსკი 46), ვასელი (ჟიხაი 87)

მწვრთნელი: სტიუარტ პირსი

გაფრთხილება: რიდგუელი, სომეილი

მსაჯი: ფოი

26 422 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 35 | 28 | 4 | 3 | 69:21 | 88 |
| მანჩესტერი | 35 | 24 | 7 | 4 | 68:31 | 79 |
| ლივერპული | 35 | 22 | 7 | 6 | 49:22 | 73 |
| ტოტენჰემი | 36 | 17 | 11 | 8 | 51:36 | 62 |
| არსენალი | 35 | 17 | 7 | 11 | 58:28 | 58 |
| ნიუკასლი | 36 | 16 | 6 | 14 | 46:42 | 54 |
| ბლექბერნი | 35 | 16 | 6 | 13 | 46:42 | 54 |
| ბოლტონი | 35 | 14 | 10 | 11 | 47:39 | 52 |
| უიგანი | 36 | 15 | 6 | 15 | 42:46 | 51 |
| ვესტ ჰემი | 35 | 14 | 7 | 14 | 49:52 | 49 |
| ჩარლტონი | 36 | 13 | 8 | 15 | 41:49 | 47 |
| ევერტონი | 35 | 13 | 6 | 16 | 29:45 | 45 |
| სიტი | 35 | 13 | 4 | 18 | 41:41 | 43 |
| მიდლსბრო | 34 | 12 | 7 | 15 | 47:55 | 43 |
| ფულემი | 35 | 12 | 6 | 17 | 44:55 | 42 |
| ასტონ ვილა | 36 | 9 | 12 | 15 | 39:51 | 39 |
| პორტსმუთი | 36 | 9 | 8 | 19 | 34:58 | 35 |
| ბირმინგემი | 36 | 8 | 9 | 19 | 28:49 | 33 |
| ვესტ ბრომვიჩი | 36 | 7 | 8 | 21 | 29:55 | 29 |
| სანდერლენდი | 34 | 2 | 5 | 27 | 21:61 | 11 |

## ამხანაგური მატჩი

ჩილე 4:1 ახალი ზელანდია

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 15:30 | 4 | ჩელსი-მანჩესტერი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 18:00 | 5 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1.35 | 4.30 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.79 |
| 18:00 | 7 | სიტი-ფულემი | 1.95 | 3.30 | 3.55 | 1.22 | 1.25 | 1.71 |
| 18:00 | 8 | მიდლსბრო-ევერტონი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 18:00 | 9 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 2.35 | 3.30 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.50 |
| 18:00 | 10 | უიგანი-პორტსმუთი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 20:15 | 11 | ჩარლტონი-ბლექბერნი | 2.60 | 3.30 | 2.45 | 1.45 | 1.26 | 1.40 |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 12 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 16:30 | 16 | ბრაიტონი-სტოკი | 2.45 | 3.10 | 2.60 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| 16:30 | 17 | ბარნლი-ლუტონი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 16:30 | 18 | ქოვენთრი-კარდიფი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 16:30 | 19 | ქრიუ-მილუოლი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 16:30 | 20 | დერბი-უენსდი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 16:30 | 21 | ნორვიჩი-ვულვერჰემპტონი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 16:30 | 22 | პლიმუთი-იფსვიჩი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 16:30 | 23 | პრესტონი-ლიდსი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 16:30 | 24 | რედინგი-ქპრ | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | ·2.54 |
| 16:30 | 25 | შეფილდი-კრისტალ პალასი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 16:30 | 26 | საუთჰემპტონი-ლესტერი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 16:30 | 27 | უოტფორდი-ჰალი | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 28 | ბარნსლი-ბრედფორდი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 18:00 | 29 | ბრენტფორდი-ჰარტლპული | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 18:00 | 30 | ბრისტოლი-სუინდონი | 1.45 | 4.00 | 5.50 | 1.06 | 1.14 | 2.31 |
| 18:00 | 31 | კოლჩესტერი-როტერჰემი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 18:00 | 32 | დონკასტერი-ოლდჰემი | 2.00 | 3.40 | 3.10 | 1.25 | 1.21 | 1.62 |
| 18:00 | 33 | ჯილინგემი-უოლსოლი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 18:00 | 34 | ჰადერსფილდი-იოვილი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 18:00 | 35 | დონსი-ტრანმერი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 18:00 | 36 | ნოტინგემი-ბორნმუთი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 18:00 | 37 | პორტ ვეილი-ჩესტერფილდი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 18:00 | 38 | სკანთორპი-ბლეკპული | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 18:00 | 39 | სუონსი-საუთენდი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 42 | ბარნეტი-სტოკპორტი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 43 | ბოსტონი-რაშდენი | 2.05 | 3.30 | 3.00 | 1.26 | 1.21 | 1.57 |
| 18:00 | 44 | ბერი-მენსფილდი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 45 | კარლაილი-ტორკი | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 18:00 | 46 | ჩელტენემი-ნოტსი | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 18:00 | 47 | ლეიტონი-პიტერბრო | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 18:00 | 48 | მაკლსფილდი-გრიმსბი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 18:00 | 49 | ნორთჰემპტონი-ჩესტერი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 18:00 | 50 | როჩდეილი-როვერსი | 2.60 | 3.30 | 2.35 | 1.45 | 1.23 | 1.37 |
| 18:00 | 51 | შრიუსბერი-ლინკოლნი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 18:00 | 52 | რექსემი-ოქსფორდი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| 18:00 | 53 | უიკომბი-დარლინგტონი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 70 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 18:00 | 72 | დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი | 2.05 | 3.00 | 3.40 | 1.21 | 1.27 | 1.59 |
| 18:00 | 73 | ლივინგსტონი-ინვერნესი | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| 18:00 | 74 | მოსერუელი-დანფერმლაინი | 1.70 | 3.50 | 4.20 | 1.14 | 1.21 | 1.90 |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 75 | ჰართსი-სელტიკი | 2.60 | 3.10 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 76 | ერდრი-ბრეჩინი | 1.50 | 3.90 | 5.00 | 1.08 | 1.15 | 2.19 |
| 18:00 | 77 | კლაიდი-სტრანრარი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 18:00 | 78 | ჰამილტონი-როსი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 18:00 | 79 | ქუინი-დანდი | 2.10 | 3.30 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| 18:00 | 80 | სტ.მირენი-სტ.ჯონსტონი | 1.85 | 3.30 | 3.55 | 1.18 | 1.21 | 1.71 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 81 | დამბარტონი-პარტიკი | 2.25 | 3.30 | 2.55 | 1.33 | 1.19 | 1.43 |
| 18:00 | 82 | ფორფარი-მორტონი | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 18:00 | 83 | პიტერჰედი-ეარი | 1.65 | 3.50 | 4.30 | 1.12 | 1.19 | 1.92 |
| 18:00 | 84 | რეითი-ალოა | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 18:00 | 85 | სტირლინგი-გრეტნა | 4.50 | 3.80 | 1.55 | 2.06 | 1.15 | 1.10 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 86 | არბროთი-ისტ სტირლინგი | 1.20 | 5.30 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.33 |
| 18:00 | 87 | ბერიკი-ქუინს პარკი | 1.40 | 4.00 | 5.80 | 1.03 | 1.12 | 2.36 |
| 18:00 | 88 | კოუდენბითი-ელგინი | 1.37 | 4.20 | 6.50 | 1.03 | 1.13 | 2.55 |
| 18:00 | 89 | მონტროუზი-ისტ ფაიფი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 18:00 | 90 | სტენჰაუსმუირი-ალბიონი | 1.35 | 4.60 | 6.50 | 1.04 | 1.11 | 2.69 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 111 | ადმირა-პაშინგი | 4.50 | 3.60 | 1.65 | 2.00 | 1.20 | 1.13 |
| 20:30 | 113 | რაპიდი-გრაცერი | 1.70 | 3.50 | 4.20 | 1.14 | 1.21 | 1.90 |
| 20:30 | 114 | რიდი-მატერსბურგი | 1.47 | 3.80 | 6.00 | 1.05 | 1.18 | 2.32 |
| 20:30 | 115 | ტიროლი-ზალცბურგი | 4.00 | 3.70 | 1.70 | 1.92 | 1.19 | 1.16 |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 117 | შტურმი-აუსტრია | 4.00 | 3.50 | 1.75 | 1.86 | 1.21 | 1.16 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 141 | კალიარი-პარმა | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| 17:00 | 142 | კიევო-რომა | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 17:00 | 143 | ემპოლი-ინტერი | 4.30 | 3.10 | 1.85 | 1.80 | 1.29 | 1.15 |
| 17:00 | 145 | ლაციო-ლეჩე | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 17:00 | 146 | მილანი-ლივორნო | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 17:00 | 148 | პალერმო-ფიორენტინა | 3.30 | 2.90 | 2.15 | 1.54 | 1.30 | 1.23 |
| 17:00 | 149 | რეჯინა-მესინა | 1.95 | 3.30 | 3.55 | 1.22 | 1.25 | 1.71 |
| 17:00 | 150 | სამპდორია-უდინეზე | 3.10 | 1.70 | 4.70 | 1.09 | 1.86 | 1.24 |
| 17:00 | 151 | სიენა-იუვენტუსი | 7.50 | 3.70 | 1.45 | 2.47 | 1.21 | 1.04 |
| 17:00 | 153 | ტრევიზო-ასკოლი | 4.00 | 2.20 | 2.45 | 1.41 | 1.51 | 1.15 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 185 | ბარსელონა-კადისი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 22:00 | 187 | ბეტისი-ბილბაო | 2.15 | 3.00 | 3.50 | 1.25 | 1.33 | 1.61 |
| 22:00 | 189 | დეპორტივო-სელტა | 2.10 | 3.00 | 3.50 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 184 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 19:00 | 188 | ხეტაფე-ვილიარეალი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 19:00 | 190 | მალაგა-რასინგი | 2.65 | 3.20 | 2.50 | 1.44 | 1.28 | 1.40 |
| 23:00 | 191 | ოსასუნა-რეალი | 2.85 | 3.10 | 2.40 | 1.48 | 1.30 | 1.35 |
| 19:00 | 192 | ხოხიედადი-სევილია | 2.45 | 3.10 | 2.80 | 1.36 | 1.30 | 1.47 |
| 19:00 | 193 | ვალენსია-ალავესი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| 19:00 | 195 | სარაგოსა-ესპანიოლი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 19:15 | 211 | ლანსი-ლილი | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 18:30 | 207 | აიაჩო-ნიცა | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| 18:30 | 209 | ბორდო-ლე მანი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 23:00 | 212 | ლიონი-სტ.ეტიენი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 18:30 | 214 | მეცი-სოშო | 2.35 | 3.00 | 3.00 | 1.31 | 1.31 | 1.50 |
| 18:30 | 215 | მონაკო-ნანტი | 1.75 | 3.20 | 4.35 | 1.13 | 1.24 | 1.84 |
| 18:30 | 217 | სტრასბური-ნანსი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 18:30 | 218 | ტრუა-ტულუზი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 221 | კაენი-შატორუ | 1.40 | 3.70 | 8.00 | 1.01 | 1.19 | 2.52 |
| 22:30 | 222 | დიჟონი-კრეტეი | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |
| 22:30 | 223 | გრენობლი-ბრესტი | 2.35 | 2.80 | 3.00 | 1.27 | 1.31 | 1.44 |
| 22:30 | 224 | გენიონი-მონპელიე | 2.20 | 2.80 | 3.30 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| 22:30 | 225 | ისტრი-რეიმსი | 1.80 | 3.00 | 4.50 | 1.12 | 1.28 | 1.79 |
| 22:30 | 227 | სედანი-ვალენსიენსი | 2.25 | 2.70 | 3.30 | 1.22 | 1.33 | 1.48 |
| 22:30 | 228 | სეტე-ლავალი | 2.75 | 2.80 | 2.60 | 1.38 | 1.33 | 1.34 |
| 22:30 | 229 | კლერმონი-გენგამი | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 230 | სერკლი-ლოკერენი | 2.05 | 3.50 | 2.90 | 1.29 | 1.20 | 1.58 |
| 17:00 | 231 | ბრიუსელი-ლიერსი | 2.45 | 3.50 | 2.45 | 1.44 | 1.22 | 1.44 |
| 17:00 | 232 | გენკი-ბევერენი | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 17:00 | 233 | გენტი-ანდერლეხტი | 3.50 | 3.40 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 17:00 | 234 | ბეერსხოტი-ბრიუგე | 3.30 | 3.30 | 1.95 | 1.64 | 1.22 | 1.22 |
| 17:00 | 238 | რუსელარე-სტანდარდი | 4.40 | 3.60 | 1.65 | 1.98 | 1.20 | 1.13 |
| 17:00 | 240 | ვარეგემი-ვესტერლო | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი პლეი ოფი** | | | | | | |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 493 | ჰელმონდი-ვოლენდამი | 2.00 | 3.30 | 3.10 | 1.24 | 1.21 | 1.59 |
| 22:00 | 494 | ოსი-ბრედა | 3.70 | 3.30 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 263 | ნასიონალი-ბოავისტა | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 257 | ამადორა-პენაფიელი | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| 19:00 | 258 | ბელენენსეში-აკადემიკა | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 19:00 | 259 | ბენფიკა-სეტუბალი | 1.28 | 4.70 | 9.00 | 1.00 | 1.12 | 3.08 |
| 19:00 | 260 | ბრაგა-ჟილ ვისენტე | 1.80 | 3.50 | 3.70 | 1.18 | 1.21 | 1.79 |
| 19:00 | 262 | მარიტიმუ-ფერეირა | 2.30 | 3.40 | 2.60 | 1.37 | 1.22 | 1.47 |
| 19:00 | 264 | ნავალი-ლეირია | 2.05 | 2.90 | 3.65 | 1.20 | 1.31 | 1.61 |
| 19:00 | 265 | პორტუ-ვიმარაეში | 1.85 | 3.50 | 3.50 | 1.21 | 1.21 | 1.75 |
| 19:00 | 267 | რიუ ავე-სპორტინგი | 3.70 | 3.40 | 1.85 | 1.77 | 1.23 | 1.19 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 277 | ატრომიტოსი-კალითეა | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 21:00 | 279 | კალამარია-აეკ | 6.00 | 3.30 | 1.55 | 2.12 | 1.23 | 1.05 |
| 21:00 | 284 | პანათინაიკოსი-ეგალეო | 1.20 | 5.50 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.48 |
| 19:00 | 287 | ქსანთი-აკრატიტოსი | 1.30 | 4.20 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 2.91 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 308 | ამიკა-ვისლა | 2.85 | 3.10 | 2.25 | 1.48 | 1.25 | 1.30 |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 309 | გურნიკი-არკა | 2.25 | 3.10 | 2.85 | 1.30 | 1.25 | 1.48 |
| 20:00 | 310 | პლოცკი-ბელხატოვი | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| 20:00 | 311 | ზაგლებე-ლეჩნა | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 20:00 | 312 | ლეხი-გროცლინი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 20:00 | 313 | პოგონი-ოდრა | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 22:00 | 314 | კორონა-ლეგია | 3.20 | 3.10 | 2.10 | 1.57 | 1.26 | 1.25 |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 315 | პოლონია-კრაკოვია | 2.30 | 3.10 | 2.70 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 316 | იაბლონეცი-ბანიკი | 2.25 | 2.90 | 3.00 | 1.26 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 317 | ბოლესლავი-სპარტა | 3.20 | 3.00 | 2.10 | 1.54 | 1.26 | 1.23 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 18:30 | 337 | დუბნიცა-ჟილინა | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 18:30 | 338 | ინტერი-ტრენჩინი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 18:30 | 339 | ნიტრა-რუჟომბეროკი | 2.65 | 3.00 | 2.40 | 1.40 | 1.25 | 1.33 |
| 18:30 | 340 | პუხოვი-პეტრჟალკა | 5.00 | 3.30 | 1.60 | 1.98 | 1.21 | 1.07 |
| 21:30 | 341 | ტრნავა-ბ.ბისტრიცა | 1.40 | 3.50 | 7.50 | 1.00 | 1.17 | 2.38 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 369 | ვიკინგი-სტარტი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 370 | ფრედრიკსტადი-ლილესტრიომი | 2.90 | 3.30 | 2.25 | 1.54 | 1.26 | 1.33 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 371 | ლინი-სტაბეკი | 1.85 | 3.40 | 3.85 | 1.19 | 1.24 | 1.80 |
| 20:00 | 372 | ოდ გრენლანდი-სანდეფიორდი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 20:00 | 373 | როზენბორგი-მოლდე | 1.40 | 4.10 | 6.50 | 1.04 | 1.15 | 2.51 |
| 20:00 | 374 | ტრომსიო-ჰამარი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 22:00 | 375 | ბრანი-ვოლერენგა | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 376 | ჰოდი-კონგსვინგერი | 2.10 | 3.50 | 2.90 | 1.31 | 1.21 | 1.58 |
| 20:00 | 377 | ჰონეფოსი-ბოდიო გლიმტი | 2.45 | 3.60 | 2.45 | 1.45 | 1.22 | 1.45 |
| 20:00 | 378 | ლოვ ჰამ-პორს გრენლანდი | 1.70 | 3.70 | 4.00 | 1.16 | 1.19 | 1.92 |
| 20:00 | 379 | მოსი-ალესუნდი | 3.00 | 3.50 | 2.10 | 1.61 | 1.23 | 1.31 |
| 20:00 | 380 | მანგლერუდი-სტრიომსგოდსეტი | 6.00 | 4.50 | 1.40 | 2.57 | 1.13 | 1.06 |
| 20:00 | 381 | სოგნდალი-ჰაუგესუნდი | 1.65 | 3.70 | 4.40 | 1.14 | 1.20 | 2.00 |
| 20:00 | 382 | სპარტა ს-ტრომსდალენი | 1.70 | 3.70 | 4.00 | 1.16 | 1.19 | 1.92 |
| 20:00 | 383 | ფოლო-ბრინი | 2.45 | 3.60 | 2.45 | 1.45 | 1.22 | 1.45 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 390 | ისტერსი-იორგრიტე | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 21:00 | 392 | გეფლე-ჰელსინგბორგი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 21:00 | 393 | გიოტებორგი-ჰამარბი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 22:00 | 394 | აიკ-იურგორდენი | 3.60 | 3.20 | 2.00 | 1.69 | 1.28 | 1.23 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 400 | დეგერფორსი-ვესბი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 406 | ჰიკ-ლაჰტი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 19:30 | 407 | ინტერი-ტამპერე | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 19:30 | 408 | კუოპიო-კტპ | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 19:30 | 409 | მარიეჰამნი-ჰონკა | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 20:00 | 410 | ჰაკა-ტურკუ | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 415 | უოტერფორდი-დერი | 3.60 | 3.10 | 1.95 | 1.66 | 1.26 | 1.19 |
| 22:45 | 416 | ბოჰემიანი-დუბლინი | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 22:45 | 417 | ბრეი-დუბლინი სიტი | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| 22:45 | 418 | დროგედა-ლონგფორდი | 1.45 | 3.40 | 7.00 | 1.01 | 1.20 | 2.28 |
| 23:00 | 419 | სტ.პატრიკსი-კორკი | 3.10 | 3.00 | 2.15 | 1.52 | 1.26 | 1.25 |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 420 | სლიგო-შელბურნი | 3.70 | 3.20 | 1.90 | 1.71 | 1.25 | 1.19 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 466 | მიდლსბრო-სტიაუა | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 23:30 | 467 | სევილია-შალკე | 1.85 | 3.20 | 4.10 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 468 | აინტრახტი-ბაიერნი | 6.50 | 3.70 | 1.50 | 2.35 | 1.21 | 1.06 |
| | | **საფრანგეთი. თასი(ფინალი)** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 584 | მარსელი-პსჟ | 2.75 | 2.70 | 2.75 | 1.36 | 1.37 | 1.36 |
| | | **დანია. თასი** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 470 | ოლბორგი-რანდერსი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 22:00 | 471 | ბრიონდბიუ-ესბიერგი | 1.55 | 3.70 | 5.20 | 1.09 | 1.19 | 2.16 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 490 | ნაციონალი-ინტერნაციონალი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 23:45 | 491 | ნიუელსი-ველესი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 23:45 | 492 | ტიგრესი-ლიბერტადი | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10466 | მიდლსბრო-სტიაუა | 2.15 | 2.00 | 4.90 | 1.03 | 1.49 | 1.42 |
| 10467 | სევილია-შალკე | 2.25 | 2.00 | 4.50 | 1.05 | 1.50 | 1.38 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11466 | მიდლსბრო-სტიაუა | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11467 | სევილია-შალკე | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12466 მიდლსბრო-სტიაუა ---------------- 1.60 --------- 2.00
12467 სევილია-შალკე ------------------ 1.60 --------- 2.00

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13466 მიდლსბრო-სტიაუა --------------- 1.70 --------- 1.90
13467 სევილია-შალკე ----------------- 1.70 --------- 1.90

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14466 მიდლსბრო-სტიაუა --------------- 1.45 --------- 2.40
14467 სევილია-შალკე ----------------- 1.55 --------- 2.20

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15466 | მიდლსბრო-სტიაუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15467 | სევილია-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16466 მიდლსბრო-სტიაუა --------------- 1.30 --------- 2.65
16467 სევილია-შალკე ----------------- 1.35 --------- 2.50

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17466 მიდლსბრო-სტიაუა --------------- 1.85 --------- 1.95
17467 სევილია-შალკე ----------------- 1.85 --------- 1.95

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

18466 მიდლსბრო-სტიაუა ---------------------------- 2.10 ------- 1.60 | 18467 სევილია-შალკე ---------------------------- 1.60 ------- 2.10

## საქართველოს ჩემპიონატი. პლეი ოფი



# არაპლეიოფური

## ავიამშენი სტუ-ს აღმართზე მიენია

**26 აპრილი. ვერის ბაღი**

**ავიამშენი 1:0 სტუ**

**ავიამშენი 110:88 სტუ**

*29:15 29:29 27:17 25:27*

**ავიამშენი:** ტულუში (11), ხოშტარია (27), მარკოიშვილი (7), მინაშვილი (13), როდუმტა (8); დ. ბერიშვილი (14), ბ. ბერიშვილი (10), ორმოცაძე (7), ნინიაშვილი (6), ჩხატარაშვილი (6), ნ. ნოზაძე (1)

**სტუ:** მიქაძე (7), ხეცურიანი (9), კვიმსაძე (4), კეიდია (24), მათიაშვილი (17); ნინუა (8), მურჯიკნელი (6), შანიძე (6), ლოსაბერიძე (4), კოხრეიძე (3), ათანელიშვილი

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** რომან გელოვანი

**ძალა** აღმართს ხნავს — აღმოხდა ტექნიკოსთა თავკაც ნუგზარ ჭეიშვილს „ავიამშენთან“ ნახევარფინალური სერიის პირველ მატჩში დამარცხების შემდეგ. ამ სიტყვებში ზუსტად გამოიხატა გუშინდელი თამაშის შინაარსი — ლევან მოსეშვილის გუნდმა ისე იოლად მუთავა საქმე სტუ-ს, რომ მოხვნაზე უკეთეს ეპითეტს ძნელად თუ მივუსადაგებთ.

თამაშის წინ ორივე მხარე აცხადებდა, რომ არაფერს დაიშურებდა და სავარაუდოდ, საინტერესო ბრძოლაც გამოვიდოდა, თუმც... იქნებ არც დაიშურეს, მაგრამ საინტერესოსი თამაშს არაფერი ეტყობოდა. „ავიამშენმა“ პირველივე წუთებზე რომ მოიხელთა ლიდერობა, დარჩენილ დროში მეტოქე სათოფეზე აღარ გაუკარებია.

სტუ-მ საკმაოდ დაბალანსებული ხუთეულით კი დაიწყო თამაში, მაგრამ „ავიამშენს“ ვერც ფარქვეშ გაუწია წინააღმდეგობა და ვერც უკანა ხაზში შეეტოქა. გვარიანად გაელასტიურებული პლასიდე როდუმტა ორივე ფარქვეშ ბატონობდა, მაგრამ ქულებზე უკეთ კალათიდან ასხლეტილ ბურთებს იხვეჭდა. აბა, რაში უნდოდა „ავიამშენს“ სხვა მექულე, როცა ირაკლი ხოშტარია იშტაზე ჰყავდა. მოსეშვილის ჯილამ სტუ-ს ფარისკენ მიმავალი გზები გაიბილიკა და „ავიამშენის“ მოხვეჭილი 19 ქულა მის ანგარიშზე მოდიოდა.

ამასთან, კოტე ტულუშიც არ იყო უსაქმოდ, ბურთს გონივრულად ათამაშებდა და ავიატორები კარგ სასროლ პოზიციაზე რომ გადიოდნენ, მისი დამსახურება იყო. კოტეს საბოლოოდ რვა შედეგიანი გადაცემა დაუგროვდა, როცა ამ მატჩის მეორე მეპასემ, სტუ-ელმა შიო ხეცურიანმა, მხოლოდ ოთხი მიითვალა.

უკვე 4 წუთში მოსეშვილის სამწყსომ ათქულიანი ლიდერობა მოიპოვა. სტუ მიხვდა, რომ სისწრაფეში „ავიამშენს“ ვერ გამოედევნებოდა და ფარი გაამაგრა. ამ მომენტში მოედანზე ტექნიკოსთა ერთბაშად 3 მეფარე ვიხილეთ — რიჩარდ მათიაშვილი, ირაკლი კეიდია და ლუკა შანიძე.

ამან ხეირი ვერ მოუტანა ჭეიშვილის ბიჭებს, რადგან ავიატორთა მთელი წინა ხაზი უშეცდომოდ ირჯებოდა. ვახტანგ მინაშვილმა კამერუნელი თანაგუნდელი რომ ფარქვეშ დაიგულა, უფრო გაბედულად იხვეჭდა ქულებს და საერთო საქმე არც მოედანზე როდუმტას ნაცვლად შემოსულმა ამროსი ორმოცაძემ გააფუჭა.

სტუ-ს ჩაფლავებულ საქმეს ისიც აუარესებდა, რომ ტექნიკოსებს მიზანი ღალატობდათ. სამქულიანებს ვინ ჩივის, ფარქვეშიდანაც ხშირად ცდებოდნენ და პირველი მეოთხედის შემდეგ უკვე 14 ქულით ჩამორჩნენ.

მეორე მეოთხედში სტუ ცოტა გონს მოეგო, სამწამიანში ირაკლი კეიდიას აქტიურობამ ტექნიკოსებს ქულების ხვეჭის გემო გაახსენა, მაგრამ რად გინდა, „ავიამშენი“ არაფერში რჩებოდა მეტოქეს და დიდი შესვენებისთვის 14-ქულიანი უპირატესობა იოლად შეინარჩუნა.

აი, მესამეში კი, ყველაფერი გაცხადდა. ტაიმის განახლება იყო და, „ავიამშენმა“ ქულათა სეტყვა დაუშინა სტუ-ს, 2 წუთში უპირატესობა 20 ქულამდე გაზარდა და თამაშმა მალევე დაკარგა აზრი. ისედაც უნიათოდ მობურთალი სტუ, ბოლო მეოთხედში 24 ქულის გამბათილებელი არ ჩანდა და ეს ვერც მოახერხა.

ესეც პირველი ნახევარფინალი, „ავიამშენი“ სამმოგებიან სერიაში 1:0 დაწინაურდა და, ალბათ, ფინალშიც იოლად გაივაკებს. აი, მეორე წყვილში კი მეტი ინტრიგა ლვივის. დღეს „თსუ-ნიკორა“ — „აზოტის“ პირველი შერკინებაა.

**ირაკლი პერტაია**

## 2006 NBA Playoffs

# შეხტა, მიუალერსა

## სიყვარული ბურთსაც სწყურია

25 აპრილი

**აღმოსავლეთი**

**კლივლენდი 1:1 ვაშინგტონი**

**კლივლენდი 84:89 ვაშინგტონი**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (26), გუდენი (24 ქულა, 16 მოხსნა), ჰიუზი (16)

**ვაშინგტონი:** არენასი (30), ბატლერი (21), ჯემისონი (21)

ყველაფერი არც ისე იოლი ყოფილა, როგორც თავიდან ჩანდა. ლებრონ ჯეიმსმა თავის საპლეიოფო დებიუტში ბენეფისი მოიწყო — „ვაშინგტონთან“ პირველ მატჩში 32 ქულა, 11 მოხსნა, და 11 პასი გააკეთა და ლეგენდარული მეჯიქ ჯონსონის შემდეგ, ანუ ბოლო 26 წელიწადში პირველი კალათბურთელი გახდა, ვინაც პლეი ოფში დებიუტი სამმაგი დუბლით აღნიშნა. მაგრამ ამერიკული კალათბურთის გზა არც მთლად ასე ია-ვარდებით მოფენილია, როგორც ეს თავიდან შეიძლება ჩანდეს, ისეთი ყოჩაღი ყმაწვილისთვისაც კი, როგორიც ლებრონ ჯეიმსია.

„ვაშინგტონმა“ მეორე თამაშში ჯეიმსს და მის „კლივლენდს“ კლანჭები გამოუჩინა, მისსავე მოედანზე მოუგო და სერიაში ანგარიშის გათანაბრებით მოედნის უპირატესობაც აართვა. თავი გამოიჩინა პირველ მატჩში ლებრონიანთა დაცვის ვერმჯობნმა ჯილბერტ ასენასმა, ვინაც ამჯერად 30 ქულა გაშანსა. თავის ლიდერს ხელი დედაქალაქელთა სხვა მექულეებმაც წააშველეს — ანთაუნ ჯემისონმა და კერონ ბატლერმა. ამ ტრიოსგან „კლივლენდმა“ 71 ქულა მიიღო საკუთარ კალათში.

თავად ლებრონი ახლა გაცილებით მოწყვლადი ჩანდა — 19 ორქულიანიდან მხოლოდ 6 გამოიყენა, ერთი ჩაგდებულის საპირისპიროდ ხუთი სამქულიანი აცილა და რითაც ყველაზე მეტად აზარალა გუნდი, 10-ჯერ (!) დაკარგა ბურთი.

**ნიუ ჯერსი 1:1 ინდიანა**

**ნიუ ჯერსი 90:75 ინდიანა**

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (33), ჯეფერსონი (21), კრსტიჩი (20), კიდი (6 ქულა, 13 პასი, 11 მოხსნა)

**ინდიანა:** ჯონსონი (17), ჯონსი (13), ონილი (12)

„ხალხს პლეი ოფში მოგებული თამაშები უფრო ახსოვს, ვიდრე რეგულარული ჩემპიონატის სანწაულები. პირველი მატჩი სულელურად წავაგეთ და ახლა თავს უფლებას ვერ მივცემდით, მოწინააღმდეგის დასჯის შანსი არ გამოგვეყენებინა“ — „ნიუ ჯერსის“ მფრინავი ვარსკვლავი ვინს კარტერი „ინდიანასთან“ ნამატჩევსაც ისევე აგრესიულად იყო განწყობილი და ისევე ვამეტებით იცემდა გულში მჯიღს, როგორც თვითონ თამაშის მსვლელობისას.

„ნიუ ჯერსიმ“ ახლა აშკარად აჯობა „ინდიანას“. სადებიუტო მარცხის შემდეგ სერიაში ანგარიში გაათანაბრა და ინდიანაპოლისში გაფრენის წინ ხასიათიც საგრძნობლად გამოიკეთა. თავად კარტერმა საერთო საქმისთვის 33 ქულა გაიღო, იყოჩაღეს ჯეფერსონმა და კრსტიჩმაც, ხოლო „ნიუ ჯერსის“ სულმა და გულმა ჯეისონ კიდმა შავი სამუშაო უფრო აკეთა, სულ რაღაც 6 ქულა ჩაიწერა პირად ანგარიშზე და 4 ქულა დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

„ინდიანას“ კი, ვისაც პრედრაგ სტოიაკოვიჩი აკლია, ხოლო ჯერმენ ონილი ფორმაში ვერ ჰყავს, 20 ქულის ჩამგდებიც ვერავინ გამოუჩნდა.

**დასავლეთი**

**სან ანტონიო 2:0 საკრამენტო**

**სან ანტონიო 128:119 საკრამენტო**

ძირითადი დრო 109:109

**სან ანტონიო:** ჯინობილი (32), პარკერი (22 ქულა, 10 პასი), ბერი (22), დანკანი (14 ქულა, 13 მოხსნა)

**საკრამენტო:** ველსი (28 ქულა, 12 მოხსნა), აბდურ-რაჰიმი (27), მარტინი (26), ბიბი (15)

ცოტა პარადოქსულია, მაგრამ რონ არტესტის გარეშე „საკრამენტო“ გაცილებით ყოჩაღად გამოიყურებოდა და პირველი მატჩის უიმედოდ წაგების შემდეგ ჩემპიონ „სან ანტონიოს“ მეორეში კბილებიც ამტვრია, მაგრამ გამარჯვება მაინც არ შეხვდა.

„სან ანტონიოს“ 32 ქულის მომხვეჭმა, არგენტინელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და კიდევ ბევრი სხვა ტიტულით მოამაყე მანუ ჯინობილიმ ულიდერა, თუმც ჩემპიონები სულ სხვამ იხსნა მარცხისგან — ძირითადი დროის ამოწურვამდე ოთხი წამით ადრე, 106:109 ანგარიშზე მასპინძელთა სათადარიგო მსროლელმა ბრენტ ბერიმ სამქულიანი გაისროლა. ბურთმა სრულიად სან ანტონიოს გული წაიყოლა, ორჯერ დაეცა კალათის რგოლს, ფარსაც „მიელერსა“ და მერელა „იკადრა“ კალათში ჩაშვება. მატჩი ოვერტაიმში გადავიდა. იქ კი ჩემპიონებს არ გასჭირვებიათ მეტოქეთა მოშთობა, რომლებიც პრაქტიკულად 7 მოთამაშით ებრძოდნენ ლიგის ყველაზე თუ არა, ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს.

**კოტე ყორშია**



ვინს კარტერი აბობოქრდა



# ალალი იყოს

**სამშაბათს** ნბა-მ 2005-06 წლების რეგულარული ჩემპიონატის პირველი ლაურეატი დაასახელა. სეზონის მწვრთნელის ტიტული დამსახურებულად შეხვდა „დალას მავერიკრისს“ შაკკანიან თავკაც აივერი ჯონსონს, რომელმაც ტეხასელებს რეგულარულის 82 მატჩიდან 60 მოაგებინა და ამ მაჩვენებლით „დალასი“ 30 გუნდში მხოლოდ „სან ანტონიოსა“ და „დეტროიტს“ ჩამორჩა.

## საქართველოს XVI ჩემპიონატი. ვაჟები

26 აპრილი. ასკ-ს დარბაზი

მატჩი მესამე ადგილისთვის

**ხკ თბილისი 29:19 სსსუ მამული**

**ხკ თბილისი:** სეთურიძე, გონჩაროვი, გელა არაბული (გაიტანა 6 გოლი), ნატროშვილი (4), ქუთათელაძე (4), ქირია (4), ლალანიძე (3), სამარლანიშვილი (3), ირაკლი კვერნაძე (2), ოსიყმაშვილი (2), ქარდავა (1), ქლენტი, გრიშიკაშვილი
**სსსუ მამული:** ხონელიძე, ადუაშვილი, მამასახლისი (9), მამაცაშვილი (4), მაისურაძე (3), კიზირია (2), შონია (1), ჭაფოძე, ჩაჩანიძე, შალიკაშვილი, გველესიანი
*მსაჯები:* ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

# დღეს პირველი საოქროო მატჩია

**გუშინ** „ხელბურთის კლუბ თბილისის“ და საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის „მამულის“ მატჩით დაიწყო ვაჟ ხელბურთელთა მე-16 ეროვნული ჩემპიონატის დასკვნითი, საპლეიოფო ეტაპი. ეს გუნდები ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძვიან, ხოლო ოქრო-ვერცხლს ერთმანეთს საქართველოს უცვლელი ჩემპიონი „სტუ-შევარდენი“ და ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრის „ქარიშხალა“ შეეცილებიან. თამაშების სერია ორ მოგებამდეა.

არმიის სპორტული კლუბის დარბაზში გუშინდელი თამაშის დამაჯერებლად მოგებით, თბილისელებმა პრაქტიკულად გაინაღდეს მესამე ადგილი და საეჭვოა, მამულელებმა რევანშის აღება შეძლონ. ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მიმდინარე სეზონის ხუთ შეხვედრაში „თბილისმა“ ოთხჯერ დაჯაბნა „მამული“. ასე რომ...

საკმაოდ მდარე თამაში გამოვიდა. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ხანგრძლივი ჩემპიონატით დაღლილი ბიჭები მოედანზე ვალის მოსახდელად გავიდნენ.

დასაწყისი მამულელების იყო — ეროსი მამასახლისის და გია მამაცაშვილის გოლებით ისინი საკმაო ხანს იყვნენ წინ, მაგრამ შუა ტაიმში „თბილისმა“ გარდატეხის შეტანა შეძლო — 4:3 და იქიდან მოყოლებული, ბოლომდე აღარ დაუთმია უპირატესობა.

მეტოქეები ხვალ მეორედ გაიბრძოლებენ, დღეს კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში 13 საათზე პირველი საჩემპიონო მატჩი დაიწყება ქვეყნის 15-გზის ჩემპიონ „სტუ-შევარდენსა“ და „ქარიშხალას“ შორის. შეგახსენებთ, რომ აქამდელი ხუთი ურთიერთბრძოლიდან სამი ჩემპიონებმა მოიგეს, ორი კი ქარიშხლელთა გამარჯვებით დასრულდა.

**გია ახალაძე**



გაგი კეთილაძის ფოტო



ეროვნული ბიბლიოთეკა



27-30 აპრილს მოსკოვი მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. დღეს-ხვალ ხალიჩაზე ბერძენ-რომაელები გავლენ და ევროპის შვიდ უძლიერეს ფალავანს გამოავლენენ, შაბათ-კვირას კი თავისუფლები



# მოსკოვი ჭიდაობას კლასიკურად იწყებს

## საჭიდაო კვირეულს დარჩიას რჩეულები გახსნიან

**ბეგი დარჩიას** შვიდეულიდან პირველები დავით ბედინაძე (60კგ), *მანუჩარ კვირკველია* (74კგ) და პაატა დვალიძე (96კგ) იჭიდავებენ. თუ ფინალს უწიეს ან ბრინჯაოს შანსი მიეცათ, მათ ჭიდაობას პირდაპირი ეთერითაც ვნახავთ. გადამწყვეტი შეხვედრების ტელერეპორტაჟი საღამოს ექვსი საათიდან საზოგადოებრივ არხზე დაიწყება.

დარჩიას გუნდში ხუთი დებიუტანტია — დვალიძე, რევაზ ლაშხი (55კგ), ალექსანდრე ტაბატაძე (66კგ), შალვა გადაბაძე (84კგ) და რევაზ ჭელიძე (+120კგ). მათ აქამდე მხოლოდ ახალგაზრდებს შორის მოუპოვებიათ ევროპისა და მსოფლიოს მედლები. ნაკრებში კი საქართველოს ბოლოს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დამკვიდრდნენ.

27 წლის მანუჩარ კვირკველია ასაკითაც ყველას აღემატება და ტიტულებითაც, თუმც თავისი ყველაზე დიდი ჯილდო — მსოფლიოს ოქრო 66 კილოგრამში მოიგო, ახლა კი 74-ში გამოდის. 20 წლის დავით ბედინაძე ევროპაზე მეორედ მიდის. დებიუტი შარშან ჰქონდა და ბრინჯაოთიც აღინიშნა.

დარჩიას სამწყსოს მთავარი პრობლემა სათანადო გამოცდილების ნაკლებობაა, მაგრამ მწვრთნელი მაინც იმედიანადაა — „ეს ბიჭები ძირითად ნაკრებში დამკვიდრებას ახლა ცდილობენ და რუსული ევროპირველობა მათთვის დამატებითი გამოწვევაა.“

შეგირდების გამოუცდელობაზე მეტად მწვრთნელს ახალი წესები და მოსალოდნელი არაობიექტური მსაჯობა აფიქრებს: „წესებში ისეთი ცვლილებები მოხდა, მსაჯს გაცილებით ადვილად შეუძლია, მისთვის სასურველ მოჭიდავეს მოაგებინოს. თქმაც არ უნდა, მთავარი დაწოლა რუსებთან შეხვედრისას გველის. ამიტომ კენჭისყრასაც დიდი მნიშვნელობა ექნება. ყველაფრის მიუხედავად, ბიჭების შემართების მჯერა. იმედია, ორი პოტენციური მედალოსნის — ბადრი ხასაიას და რამაზ ნოზაძის გარეშეც შევძლებთ მედლების აღებას.“

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ქართველმა სარდლებმა უკრაინა რეზერვისტებს დაუთმეს

**საქართველოს** ნაკრები შაბათს, 29 აპრილს ოდესაში წლევანდელი ერთა თასის ბოლოსწინა ტურში უკრაინას ეთამაშება. თქმა არ უნდა, უკრაინა არაა ის გუნდი, ჩვენებს ებრძოლოს მაინც და ეს ბორჯღალოსანთა საუკრაინო 22-კაცა რაზმიდანაც ჩანს.

ჩვენების სამწვრთნელო შტაბმა ლამის მთელი გუნდი გადაახალისა. ყოველ შემთხვევისთვის, უკრაინასთან არ იქნება ძირითადი შემადგენლობის ცხრა მორაგბე: ირაკლი მაჩხანელი, ბესიკ ხამაშურიძე, ირაკლი გიორგაძე, გოდერძი შველიძე, აკვსენტი გიორგაძე, დავით ზერაქაშვილი, მამუკა გორგოძე, რატი ურუშაძე და გია ლაბაძე.

საუკრაინო შემადგენლობაში ორი დებიუტანტია — ლოკომოტიველი რევაზ გიგაური და რუსთაველი მორკინალი ირაკლი ნატრიაშვილი პირველად მოირგებენ სანაკრებო კვართს. ერთიც, მწვრთნელებს ექსპერიმენტის საშუალებაც აქვთ და უკრაინასთან ათ ნომერზე ბოლო დროს მოყოჩაღებული, ფრანგული „ვიარზონის“ დამრტყმელი თემურ სოხაძე იქნება. პალიკო ჯიმშელაძე კი შუამარბად ითამაშებს.

### საქართველო უკრაინასთან

15 -------- ოთარ ბარკალაია
14 - გიორგი ელიზბარაშვილი
13 ------ პალიკო ჯიმშელაძე
12 -- მალხაზ ურჯუკაშვილი
11 ---------- გიორგი შკინინი
10 ----------- თემურ სოხაძე
9 ------ ირაკლი აბუსერიძე
8 ---------- ბესიკ უდესიანი
7 ----------- გიორგი ჩხაიძე
6 -------- ზვიად მაისურაძე
5 ---- ლევან დათუნაშვილი
4 --------- ილია ზედგინიძე
3 ---------- ავთო კოპალიანი
2 -- გიორგი კუთარაშვილი
1 ------ მიხეილ სუჯაშვილი

*სათადარიგონი*

16 --- ირაკლი ნატრიაშვილი
17 ---------- დავით გასვიანი
18 ---------- გიორგი ნემსაძე
19 ------ შალვა სუთიაშვილი
20 -------- ბიძინა სამხარაძე
21 -------- გიორგი კაჭარავა
22 ---------- რევაზ გიგაური



გაგი კეთილაძის ფოტო




ტატიანა ნავკამ და რომან კოსტომაროვმა ოცნება ტურინში აისრულეს: ოლიმპიურ ოქროს სინჯი გაიგეს

# ტატიანა ნავკას აკრძალვები არ უყვარს

## ქართულ ღვინოსაც დალევს და თამამად გაიხდის

**ძალიან საწყენია, მაგრამ თბილისში ყინულის შოუ არ გაიმართება — პირველი ეს გვითხრა მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ფიგურულად მოსრიალე ულამაზესმა ტატიანა ნავკამ, ორიოდ კვირის წინ მოსკოვში რომ დავუკავშირდით. მაშინ ნავკას საინტერვიუდ დავურეკეთ და, ცხადია, პირველად მაისში დაგეგმილ თბილისის შოუზე ვკითხეთ. მას შემდეგ კი გაირკვა, რომ სანახაობა ჩაშლას გადაურჩა, ოღონდ მაისის ნაცვლად შემოდგომაზე, თბილისობაზე გაიმართება. სპორტულ ცეკვებში ევროპის სამგზის, მსოფლიოს ორგზის და წლევანდელი ტურინის ოლიმპიადის ჩემპიონს მოსკოვში ხელმეორედ დავუკავშირდით და ეს ინტერვიუც შედგა**

— როდესაც პირველად დაგირეკეთ, გვითხარით, რომ თბილისის შოუ არ გაიმართებოდა, ახლა კი...

— დიახ, ვიცი. ილია ავერბუხმა დამირეკა და მითხრა, შემოდგომისთვის გადავიტანეთო. ჩემი თანხმობა სჭირდებოდა და მეც დასტური ვუთხარი. ოქტომბრისთვის „ფანჯარა" მაქვს და თავისუფლად შევძლებ თბილისის შოუში მონაწილეობას. ჩათვალეთ, რომ ოქტომბერში თბილისში ვიქნებით, მეც და ჩემი მეწყვილეც, რომან კოსტომაროვი.

— ის თუ იცით, რომ შოუ თბილისობას გაიმართება...

— თუ არ ვცდები, თბილისობა ქალაქის დღესასწაულია, არა? ძალიანაც კარგი, მიყვარს უცხო ქვეყნებში მოგზაურობა და იქაურ დღესასწაულებზე დასწრება. საინტერესო იქნება. იმედია, შოუს მაყურებელიც ბლომად ეყოლება.



**— ალბათ, ქართულ ღვინოსაც შემოგთავაზებენ.**

— სიამოვნებით ვავსინჯავ. მოსკოვში ერთ-ერთ წვეულებაზე დავლიე ერთი ჭიქა ქართული ღვინო, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, გემო არ მახსოვს. ახლა კი ყურადღებით ვიქნები. ოღონდ ბევრს ვერ ვსვამ, ერთი-ორი ჭიქა ჩემთვის ზღვარია.

**— არ გეშინიათ? რუსეთში ხომ ქართული ღვინო აკრძალეს.**

— ქართული სტუმართმასპინძლობის იმედი მაქვს. არა მგონია, ფალსიფიცირებული ღვინო შემომაჩეჩონ. ვხუმრობ, რა თქმა უნდა.

**— მოგზაურობა გიყვართ?**

— ძალიან, განსაკუთრებით იტალია მხიბლავს. ეს ქვეყანა თავისი ხალხით ყველაზე ახლოსაა ჩემს ხასიათთან. იტალიაში თავს ისე ვგრძნობ, თითქოს მთელი მსოფლიო ჩემი იყოს. თანაც ოლიმპიადა სწორედ იტალიაში, ტურინში მოვიგე.

**— ეს თქვენს კარიერაში ყველაზე დიდი მოვლენა იყო?**

— რა თქმა უნდა, მანამდე რაც შეიძლებოდა, ყველაფერი მოვიგე, ერთადერთი ოცნება მქონდა ოლიმპიური ოქრო და ისიც ავისრულე.

**— ჩავთვალოთ, რომ ვანკუვერის ოლიმპიადაზე აღარ გამოხვალთ?**

— არა, რატომ? 31 წლის კი ვარ, მაგრამ ერთ ოლიმპიადას კიდევ მოვასწრებ. თანაც ვანკუვერში სასეირნოდ კი არა, გასამარჯვებლად ჩავალ.

**— შოუებში მონაწილეობა ტურნირებისთვის მომზადებაში ხელს არ გიშლით?**

— არა, მთავარია, გრაფიკი სწორედ შეადგინო. ამაში კი ჩემს მეუღლეს და მწვრთნელს ალექსანდრ ჟულინს ვერავინ აჯობებს. ყველაფერი დეტალურად აქვს გათვლილი. ის არის ჩემი მეუღლე, მწვრთნელი, მენეჯერი და პროდიუსერიც, ერთი სიტყვით, ყველაფერი.

**— ყინულის მიღმა ცხოვრებისთვის დრო გრჩებათ?**

— ნაკლებად, მაგრამ რაც გვაქვს, ოჯახურ გარემოში ვატარებთ. ჩვენი შვილი საშა უკვე ექვსი წლისაა და ჩვენგან უფრო მეტ ყურადღებას ითხოვს. უქმეებს ერთად ვატარებთ. გოლფის თამაში მიყვარს ძალიან და თუ დრო მაქვს, ყვანჯს ვერ გამაგდებინებ.

**— ისე, ფოტომოდელობისთვისაც იცლით. ჟურნალში გამოქვეყნებულ თქვენს ფოტოებს ვგულისხმობ.**

— მივხვდი, რაც გაინტერესებთ. ფოტოები კაცების ჟურნალ „მაქსიმისთვის" გადამიღეს. რამდენიმე თამამი ფოტო იყო, რაც ჩემ მეუღლესთან შევათანხმე. ყინულზე ისე გვაცვია, რომ მის მიღმაც შეკვეჩვიე სექსუალურად ჩაცმას. ვფიქრობ, არაფერი დამიშავებია. თუ ლამაზი ხარ და თამამიც, არ მესმის რატომ უნდა დამალო სილამაზე ტანსაცმელში.

**— პირად ცხოვრებაში პოპულარობა ხელს არ გიშლით?**

— ხანდახან მომაბეზრებელიც არის, მაგრამ ერთი წუთითაც არ ვნანობ. პოპულარული პირველ რიგში ჩემი სპორტული მიღწევებით გავხდი. უშედეგო სპორტსმენი რომ ვყოფილიყავი, ვერც პოპულარული ვიქნებოდი. გამოდის, წარმატებული ადამიანი ვარ და საწუწუნო არაფერი მაქვს.

**— დღეს ვის მიგაჩნიათ მსოფლიოს უძლიერეს მოციგურავედ?**

— კაცებში ევგენი პლიუშჩენკო, ქალებში კი ცალსახად საუკეთესო ირინა სლუცკაიაა. მართალია, წელს ვერც ოლიმპიური და ვერც მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ, ჩემი აზრით, უდიდესი მოციგურავეა.

**— ელენე გედევანიშვილზე რას იტყვით?**

— ელენე ტურინში ვნახე და შემიძლია, გითხრათ, რომ დიდი მომავალი აქვს. ახლა ისეთ ასაკშია, მისგან ბევრი არც უნდა მოითხოვო, თორემ ფსიქოლოგიურად გატყდება. მისი დროც მოვა. სადღეისოდ ფიგურული სრიალის ასებთან უჭირს კონკურენცია, ნელ-ნელა კი ჩემპიონებში იპოვის თავის ადგილს.

**ბაჩო სვანიძე**



ჩოგბურთი

# ჩახნაშვილის ერთადერთი

**ფედერაციის თასი** საქართველოს ნაკრებმა მარცხით დაიწყო. მეორე ევროაფრიკული ჯგუფის თამაშებს თურქეთი მასპინძლობს და პირველ ჯგუფში გადასასვლელად შვიდი ნაკრები იბრძვის. საქართველო ჯგუფში ლიტვასთან და ირლანდიასთან ერთად მოხვდა და გუშინ ლიტვასთან 1:2 წააგო. როგორც საქართველო ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლეილა მესხმა გვაცნობა, ქულა მაკა ჩახნაშვილმა აიღო, რომელმაც ბალტიისპირელთა პირველ ნომერს, მსოფლიო რეიტინგსიაში მასსავით სამასეულში მყოფ ლინა სტანჩიუტეს ორ სეტში აჯობა.

ქართველთა მეორე ნომერი ია ჯიქია მეტოქის მეორე ჩოგანთან სამსეტიან შეხვედრაში დამარცხდა. წყვილთა შეხვედრა კი ჩახნაშვილი — ჯიქიას დუეტმა 3:6, 3:6 დათმო.

დღეს ლიტვა ირლანდიას ეთამაშება და წესით, მისი ძლევაც არ უნდა გაუჭირდეს. საქართველო — ირლანდია კი ხვალაა. ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების შემთხვევაში ლალი ზერეკიძის გუნდი მეორე ქვეჯგუფის პირველადგილოსანს დაუპირისპირდება. პირველი ევროაფრიკული ჯგუფის საგზურის ბედი სწორედ ამ შეხლაში გაირკვევა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**კაცები. ბარსელონა. ესპანეთი. თიხნარი. საპრიზო 850 000 $**

**მეორე წრე**

**ალბერტ პორტასი** (ესპანეთი) — ტომას ბერდიხი (9, ჩეხეთი) — 7:6 6:3; **იარკო ნიემინენი** (7, ფინეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) — 6:1 6:2; **გილერმო კორია** (3, არგენტინა) — გალო ბლანკო (ესპანეთი) — 6:7 6:0 6:2; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — გაელ მონფილზი (13, საფრანგეთი) — 6:2 6:4; **ხუან-კარლოს ფერერო** (10, ესპანეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — 6:4 7:6; **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) — ენდი მიურეი (ბრიტანეთი) — 4:6 7:6 6:1; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) — 6:4 6:7 6:4; **ევგენი კოროლიოვი** (რუსეთი) — ფერნანდო ვინსენტე (ესპანეთი) — 6:3 6:0; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — ნიკოლაი დავიდენკო (2, რუსეთი) — 6:7 7:5 6:4; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — კარლოს კუადრადო (ესპანეთი) — 7:6 6:4

ჰოკეი

## პლეი ოფი 2006



AFP ფოტო

ტამპა — ოტავა უხვგოლიანი და უხეშხუბიანი მატჩი გამოდგა

# ჩიჩუ გათამამებულა

25 აპრილი

**აღმოსავლეთი**

ოტავა 2:1 ტამპა

**ტამპა 4:8 ოტავა**

*1:3 0:2 3:3*

0:1 რედენი (9), 0:2 ივსი (13), 0:3 ჰავლატი (16), 1:3 სან ლუი (19), 1:4 ჰავლატი (23), 1:5 ვერმეტი (30), 2:5 რეინჯერი (41), 2:6 ჰიტლი (47), 2:7 ხარა (51), 3:7 რეინჯერი (52), 4:7 კუბინა (54), 4:8 ვერმეტი (57)

ვინ იცის, იქნებ „ოტავასთვის" კარგიცაა, დომინიკ ჰაშეკი რომ არ ჰყავს. ახლა „სენატორებს" კარგად ესმით, რომ მათ კარში გამოუცდელი რეი ემერი დგას და მხოლოდ შეტევაში აგრესიულობა თუ გადაარჩენთ. ამიტომაც ფავორიტის ყველა ფიქრი მეტოქის კარის დალაშქვრისკენაა მიმართული და სერიის მესამე მატჩში „ოტავამ" ქვა ქვაზე არ დატოვა მასპინძელთა დაცვისგან. უკვე პირველ პერიოდში ანგარიში გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყო, თუმც სტუმრებმა არ დააყოვნეს და 30-ე წუთისთვის ყველაფერი გადაწყვიტეს.

**დასავლეთი**

დეტროიტი 1:2 ედმონტონი

**ედმონტონი 4:3 დეტროიტი**

*2:1 1:0 0:2 0:0 1:0*

1:0 შპაჩეკი (5), 1:1 ზეტერბერგი (13), 2:1 რ. სმიტი (17), 3:1 ტორესი (23), 3:2 ზეტერბერგი (52), 3:3 შნაიდერი (53), 4:3 სტოლი (89)

კალგარი 2:1 ანაჰაიმი

**ანაჰაიმი 2:5 კალგარი**

*1:1 1:2 0:2*

0:1 ლენგკოუ (15), 1:1 ბოშმენი (18), 1:2 ჰუსელიუსი (22), 2:2 ბოშმენი (29), 2:3 კობასიუ (36), 2:4 მაკარტი (45), 2:5 რეგერი (46)

ნეშვილი 1:2 სან ხოსე

**სან ხოსე 4:1 ნეშვილი**

*0:1 2:0 2:0*

0:1 ტიმონენი (7), 1:1 მარლო (33), 2:1 ბერნიე (39), 3:1 ჩიჩუ (56), 4:1 მარლო (57)

ეს ჯონათან ჩიჩუ ერთობ გათამამებულა. ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე პლეი ოფშიც რეგულარულად გამოირჩევა, თანაც ამას ჯო ტორნტონის დაუხმარებლადაც ახერხებს. პლეი ოფში მის მიერ გატანილი სამი შაიბიდან, არც ერთი გასულა ტორნტონის დახმარებით.

მთამსვლელობა

# მოსალოდნელი ცეცხლი დედამიწის კენწეროზე



**ჩინელებს** თურმე ძალიან უყვართ ციფრი „8". ჰოდა, ეს ციფრი პეკინის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით ყველგან ფიგურირებს, სადაც კი შესაძლებელია. მაგალითად, პეკინის ოლიმპიური თამაშები გაიმართება 2008 წელს. მისი საზეიმო გახსნა დაგეგმილია 8 აგვისტოს საღამოს 8 საათზე. მისი დახურვის ცერემონიალიც საღამოს 8 საათზე დაიწყება. ამას გარდა, ოლიმპიური ჩირაღდნიდან ოლიმპიური ცეცხლი ჩინეთში პირველად აგიზგიზდება 2008 წლის 8 მარტს. ოლიმპიური ჩირაღდანი მანამდე მსოფლიოს 28 ქალაქს შემოივლის (140 დღეში — 15 ათასი კაცის მონაწილეობით).

**და აი,** ახლა ცნობილი გახდა, რომ ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა, პირველად ისტორიაში, დედამიწის უმაღლეს წერტილზე, 8848 მეტრის სიმაღლის ევერესტზეც (ჯომოლუნგმა) აივლის. იქ მას 8 ჩინელი მთამსვლელი ჩრდილოეთიდან აიტანს.

ეტყობა, ოლიმპიური ჩირაღდნის სტუმრობას დედამიწის სახურავზე ჩინელები 8 მაისს დაამთხვევენ, რაკილა საგაზაფხულო ასვლები დედამიწის კენწეროზე, სტატისტიკის მიხედვით, სწორედ მაისის მეორე კვირის დღეებზე მოდის.

თუ გავიხსენებთ, რომ ჩინელებმა 1975 წელს ევერესტზე თავიანთი ასვლის დასამტკიცებლად ორმეტრიანი სამფეხა აიტანეს, ვფიქრობთ, ისინი იქ ჩირაღდნის ატანასაც შესძლებენ.

სხვათა შორის, ჩინელები ევერესტზე ჩრდილოეთიდან პირველამსვლელებად ითვლებიან. ეს 1960 წელს მოხდა, რაც ამ მწვერვალის ისტორიაში საერთოდ მესამე წარმატებული ექსპედიცია გახლდათ, მაგრამ მაშინ ეს ბევრმა არ დაიჯერა. ამიტომ, საეჭვო რომ აღარაფერი დარჩენილიყო, ჩინელებმა 1975 წელს ის სამფეხა აიტანეს და იქვე დატოვეს.

აი, ჩირაღდანს კი ასეთი ბედი არ ელის, მას ქვემოთ ჩამოიტანენ და პეკინის ოლიმპიურ სტადიონზეც მიიტანენ.

ოღონდაც, ჩინელებს ახლა სხვა რამ უფრო აღელვებთ. გასულ უქმეებზე პეკინს მონღოლეთიდან თავს დაატყდა ძალზე ძლიერი ქვიშის და მტვრის ქარიშხალი, ქალაქი 330 ათასმა ტონა ქვიშის ფენამ დაფარა. ბევრი შეფიქრიანდა — მსგავსი რამ პეკინის ოლიმპიური თამაშებისას რომ განმეორდეს, რაღა გვეშველებაო.

ახლა შეშფოთებულთა დამშვიდებას ცდილობს ჩინეთის სატყეო მეურნეობის სფეროში სტიქიების კონტროლის კანცელარიის დირექტორი ლიუ ტო, რომელიც ირწმუნება, რომ პეკინს მონღოლეთიდან ქვიშის ქარიშხალი მხოლოდ მაისობით ატყდება თავს, ოლიმპიადა კი აგვისტოშიო. იმასაც დასძენს, რომ 2008 წლის გაზაფხულზე ან სხვა დროს ქვიშის ქარიშხალი თუ წლევანდელივით ძლიერი იქნება, მას უკვე მომზადებულნი შევხვდებით და საშიში არაფერიაო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**




# სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (ალმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი. [illegible]

# რა დროს ფინალია... მილანის მომნელებელმა არსენალი გაანულა

**ბარსელონა** *(ესპანეთი)* 0:0 **მილანი** (იტალია) (1:0)

ბარსელონა: ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, დეკო, ედ მილსონი, ინიესტა, ჟიული (ლარსონი 69), რონალდინიო, ეტოო (ვან ბომელი 89)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
მილანი: დიდა, სტამი, კოსტაკურტა (კაფუ 64), კალაძე, სერჟინიო, გატუზო (რუი კოშტა 68), პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ინძაგი (ჯილარდინო 79)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კოსტაკურტა, ედმილსონი
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
98 260 მაყურებელი

გუშინწინდელის დარად, ამ ნახევარფინალშიც ყველაფერი პირველ მატჩში გატანილმა ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. „მილანმა" ვერ მოახერხა ბოლო ოთხ სეზონში მესამედ გასვლა ლიგის ფინალში, სადაც „ბარსელონამ" ბოლოს 12 წლის წინ ითამაშა, 14 წლის წინ კი მოიგო.

ანდრეი შევჩენკოს 69-ე წუთზე გოლი არ ჩაუთვალეს და ეს ლამის ერთადერთი ეპიზოდი იყო, „მილანის" უკრაინელი ეკრანზე რომ გამოჩნდა. ვერც ფილიპო ინძაგი გახდა რამეს — ხან ოფსაიდში რჩებოდა, ხან კი ბურთის დამორჩილება უჭირდა. ერთი სიტყვით, „მილანს" არ ჰქონდა ნაღდი მომენტები, არადა, „კამპ ნოუზე" გოლი სწორედ მას სჭირდებოდა.

„ბარსელონა" კი უფრო ლაღად იყო. შინაური არენა და, რაც მთავარია, ლუდოვიკ ჟიულის მილანური გოლი კატალონიელებს ამის უფლებას აძლევდათ. ხოლო თუ მომენტებზე მიდგა საქმე, „ბარსელონამ" ამაშიც აჯობა მეტოქეს — დიდას უზუსტესად შერჩეული პოზიციები, თორემ ეტოოს და ლარსონის დარტყმულების ამღები არც ერთი მეკარე არ იყო.

ნამატჩევს ფრანკ რაიკარდმა თქვა, თუ დამიჯერებთ, ახლა ფინალზე კი არა, პრიმერაში „კადისთან" თამაშზე ვფიქრობო.

ჩვენი ნებაა, დავუჯერებთ თუ არა „ბარსას" მწვრთნელს.

ამის გარდა რაიკარდმა თქვა: „ჩვენ ძალიან ბევრი ვიშრომეთ ფინალში გასასვლელად და უზომოდ ბედნიერები ვართ, ამ შრომის შედეგს რომ ვხედავთ. ჩვენ გვწამს საკუთარი შესაძლებლობების და ფინალის მოგებაც შეგვიძლია."

კარლო ანჩელოტიმ კი ფინალს მიღმა დარჩენაში მსაჯი დაადანაშაულა: „შევჩენკომ გოლი წესების სრული დაცვით გაიტანა. ორთაბრძოლისას კარლეს პუიოლი თავისით წაიქცა, შევჩენკო არ დაჯახებია. ასეთი დონის თამაშზე გამოცდილი მსაჯი ასეთ შეცდომას არ უნდა უშვებდეს."

და ერთი კომენტარიც. ამ თამაშს, რა გასაკვირია, ესწრებოდა „მეთოფეთა" მენეჯერი არსენ ვენგერი, ვინაც თავისი გუნდი ვილიარეალიდან ლონდონში გაამგზავრა, თავად კი ბარსელონისკენ აიღო გეზი. ფინალში მეტოქის გარკვევის მერე კი ვენგერმა თქვა: „რონალდინიოსგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ ჩვენ გვაქვს თასის მოგების შანსი და მის გამოყენებას ვაპირებთ."

ჩემპიონთა თასის მომგებ ერთადერთ ქართველ კახა კალაძეს კი ხელმეორე ტრიუმფი ერთი წლით მაინც გადაედო.

**კოტე კეკელია**



AFP ბარსელონიდან





## წამალი „სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი „სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

„სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გიგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებული და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე 3,30 დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


### ინგლისი

პრემიერლიგა
XXXVI ტური
ვესტ ჰემი 1:2 ლივერპული

### შვეიცარია

სუპერლიგა
გადადებული მატჩები
ძსამაძსი 0:1 ციურიხი
იანგ ბოისი — ბაზელი *დღეს*

ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩი
ვილი 1:4 შო დე ფონი

### სლოვენია

პირველი ლიგა
XXVIII ტური
პრიმორიე 1:0 კოპერი
ბელა კრაინა 1:1 ნოვა გორიცა
ნაფტა 0:0 დომჟალე
მარიბორი 1:2 პუბლიკუმი
რუდარი 1:3 დრავა პტუი

### უკრაინა

უმაღლესი ლიგა
გადადებული მატჩი
სტალი 0:0 დნეპრო

### დანია

სუპერლიგა
გადადებული მატჩი
ნორდსიელანდი 1:1 კოპენჰაგენი

პირველი ლიგა
გადადებული
მატჩები
ბრაბრანდი 0:0 აკადემისკი
ნიკიობინგი 0:0 ბრიონსჰიოი
იოლსტიკე 0:2 ფრემადი
ჰერფიოლგე 2:2 კიოგე
ჰელერუპი 1:2 ლიუნგბიუ
სკიოლდი 0:4 კოლდინგი

### შვედეთი

ალსვენსკა. V ტური
ელფსბორგი 2:2 ჰეკენი
ჰალმსტადი 0:0 გაის
კალმარი 0:0 მალმიო
სუპერეტა. II ტური
ძვიდინგი 1:1 ასირისკა

### უნგრეთი

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი
ჰონვედი 1:3 ვაშაში

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
XXVII ტური
სიგმა 1:1 სლოვაცკო
პლზენი 2:1 ბრნო
პრჟიბრამი 1:0 მოსტი
სლავია 1:3 ლიბერეცი
ტეპლიცე 2:1 ბლშანი
ზლინი 1:1 იჰლავა

### ჰოლანდია

ერედივიზიონი
პლეი ოფი. I მატჩები
ვიტესი 0:0 ნაიმეგენი
აიაქსი 2:0 გრონინგენი
ერედივიზიონი. პლეი ოფი
საპასუხო მატჩები
უტრეხტი 1:3 *ტვენტე* (0:2)
*ჰერენვენი* 1:0 როდა (0:0)

### პოლონეთი

თასის ფინალი
ზაგლებე 2:3 *პლოცკი*

### ხორვატია

თასის ფინალი
*რიეკა* 4:0 ვარტექსი


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge